

თეატრული  
გრაფიკული

# გრაფიკული სანიჰი



სახელმწიფო გამომცემლობა. 1926წ.

№8




# შ ი ნ ა რ ს ი


	გვ.
1. ბავშთა მე-VI საგზთა შორისო კვირეული — შე — ლის . . . . .	1
2. ჩემი ცხოვრების გეგმა — დ. თურდოსპირელის . . . . .	3
3. ტყის ფოთლები — ლექსი — ე. პოლუმორდვინოვის . . . . .	6
4. ქუჩის ბავშვები — ლექსი — კ. ლორთქიფანიძის . . . . .	6
5. ფალიკოს მოგზაურობა — ე. პოლუმორდვინოვის . . . . .	7
6. ქალაქი ზაპსი — სეზმანის . . . . .	13
7. ჰანსი, მისი მამა და მისი ზღაპრები . . . . .	18
8. როგორ უნდა იქცეოდეს პიონერი ოჯახში — შანისა . . . . .	20
9. ჩვენი ძმები მსოფლიოში . . . . .	21
10. ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა . . . . .	22
11. რა არის კოლხერაცია და რისთვის არის იგი საჭირო . . . . .	25
12. ბავშთა შემოქმედება . . . . .	27
13. მეცნიერება და ტექნიკა . . . . .	28
14. თამაშობანი . . . . .	31
15. გასართობი	



# საბჭოთა კავშირი



899.962.1(05)  
წ-63.



1926

ს ა ბ შ ი ს ტ მ

განათლების სახალხო კომისიის სტრუქტურის აღზრდის მთავარმართველობის და საჯარო განათლების ცენტრალური კომიტეტის აქრნალი მავშვისათვის.

წელიწადი 3  
№ 8

## გავშთა მე-VI საერთაშორისო კვირეული.

გავშთა კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში რევოლუციონურ დღესასწაულებს შორის ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს საერთაშორისო კვირეულს.

ყოველ წელს დღესასწაულობენ საერთაშორისო კვირეულს მშრომელთა გავშთები.

ყოველ წელს, 1921 წლიდან მოყოლებული, პროლეტარულ გავშთა არმია, რომელსაც უკვე აქვს მტკიცე რევოლუციონური ორგანიზაცია — პიონერ-კოლექტივები — გამოდის თავის მიხწევათა და ახალი ბრძოლებისა და მშენებლობის ლოზუნგებით.

ბურჟუაზია ამ დღესასწაულში და მის მონაწილეებში აშკარად ხედავს თავისი კლასობრივი მტრების, თავისი მესაფლავეების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოლაშქრებას და ამიტომ ამ დღესასწაულის ჩასაშლელად ყოველ ზომას მიმართავს ხოლმე.

ამ კვირეულის ჩატარების დროს წელსაც ბურჟუაზიის მიერ დაჭირავებული მხეცები კვლავ დაპატიმრებენ პროლეტარულ გავშთებს, კვლავ რეზინის ჯოხებით გაუმასპინძლდებიან მათ.

ამას ბურჟუაზია ჩაიდენს იმისთვის, რომ გაფანტოს რევოლუციონურად განწყობილი პროლეტარული გავშთები, დაშალოს მათი ორგანიზაციები, ის ორგანიზაციები, რომელიც დღითიდღე იზრდება, მტკიცდება და უშიშრად ებრძვის გავშთა იმ საშინელ ექსპლოატაციას, რომელიცაა გამეფებული

კაპიტალისტურ სახელმწიფოებში; ბურჟუაზია ამას ჩაიდენს იმისათვისაც, რომ ეს ორგანიზაციები მოხარულ მუშებსაც ეხმარება ეკონომიურ და პოლიტიკურ ბრძოლის ფრონტზე ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მაგრამ ჩვენში, იმ ქვეყნებში, სადაც მუშათა კლასი მბრძანებლობს, გავშთა საერთაშორისო კვირეული სულ სხვა პირობებში და სხვა ლოზუნგებით ჩატარდება ხოლმე.

საბჭოთა კავშირში პიონერები ამ დღესასწაულს უფარდებენ მუშათა კლასის და მშრომელი გლეხების ისტორიულ ამოცანებს. ჩვენი კავშირის პიონერები გამოვლენ ამ დღეს წარსული მუშაობის გასათვალისწინებლად და ჯამის გასაკეთებლად, შეცდომებისა და ნაკლის შესამოწმებლად და მორიგი სამუშაო ხაზის ასაღებად.

ამ კვირეულის პირველი ამოცანაა აგიტაციის გაწევა პიონერებისა და საერთოდ გავშთების კულტურულად აღზრდის გაძლიერებისათვის.

დღეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მშრომელი ხალხი ჩვენი კომპარტიის ხელმძღვანელობით შემდგარია მძიმე ამოცანის გადაწყვეტის, სოციალიზმის მშენებლობის, გზაზე. ჩვენს რესპუბლიკებში, რომლებიც უნდა გადაიქცენ მძიმე ინდუსტრიის ქვეყანად, საჭიროა მშენებელთა ახალი წყება, საქმის მკოდნე და ორგანიზატორული ნიჭით აღსავსე თაობა.

პიონერებმა ხელი უნდა მიჰყონ სწავლას, უმთავ-



გერმანიის პიონერები სტუმრად ს. ს. რ. კ. პიონერებთან.

1088





ინგლისის მემლარაფლების შვილები სასადილოში, რომელიც მოწყობილია საბჭოთა პროფკავშირების მიერ.

რესად პროფესიონალურ-ტექნიკური და აგრონომიული ცოდნის შეძენას. მათ ამ საქმეში უფრო დაეხმარება პარტია და კომკავშირი.

მეორე ამოცანა განისაზღვრება ინტერნაციონალური აღზრდის გაძლიერებით პიონერ-ორგანიზაციაში.

სხვადასხვა ქვეყნის პიონერ-კოლექტივები დღემდეც ვერ არიან დაახლოებული ერთმანეთთან, ისინი ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობენ ერთმანეთის მუშაობას, პირობებს, ორგანიზაციათა მშენებლობის საფუძვლებს და სხვა. ამიტომ ამ დღეს ჩვენი პიონერები უფრო მჭიდროდ უნდა დაუკავშირდნენ არა მარტო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქების და სოფლების პიონერებს, არამედ უცხო ქვეყნების მოძმე ორგანიზაციებსაც: გაზიარებულ უნდა იქნეს ურთიერთს შორის დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება; ასეთი გამოცდილების გადაცემა დიდ სამსახურს გაუწევს დასავლეთელ ამხანაგებს თავიანთი საქმიანობის სწორედ წასამართავად.

მესამე ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ პიონერი უნდა გახდეს აქტიური მონაწილე ახალი სკოლის შენებაში. პიონერი უნდა შეიქმნეს სწავლავანათლების საქმის ერთ-ერთი ინიციატორი და,

რაც უმთავრესია, სკოლის საყოველთაო მოწყობის ურყევი გამტარებელი.

მასწავლებლისათვის დახმარების აღმოჩენაში და საბჭოთა სკოლის სისარგებლო ავტოციის გაწევაში პიონერი პირველ რიგში უნდა იყოს.

ყოველივე ამისათვის კი საჭიროა სკოლებში წარსული მუშაობის აღრიცხვა, დაშვებული შეცდომების გამოსწორება და მუშაობის გაფართოება.

მეოთხე ამოცანაა სამ თაობას — პარტიას, კომკავშირსა და პიონერებს — შორის კავშირის განმტკიცება. ამ თაობათა მთელი მუშაობა და ბრძოლა ლენინის საქმის საბოლოო გამარჯვებისაკენაა მიმართული.

უკანასკნელი ამოცანა ბავშთა საერთაშორისო კვირეულისა არის პიონერთა ჯანმრთელობის საქმის მოწესრიგება, მისი სათანადო დონეზე დაყენება. მართალია, ამ საქმეში მრავალი დაბრკოლება გველოდება წინ, მაგრამ უნდა შევძლოთ მათი დაძლევა.

უნდა აღვზარდოთ ჯანმრთელი, ძლიერი ნორჩი თაობა — აი, რას უნდა ვაქცევდეთ აგრეთვე უდიდეს ყურადღებას, თორემ ისე დასახული მიზნების მიხწევა მეტად ძნელია.



ჩინელი მოწაფეები.

ასეთია ბავშთა საერთაშორისო კვირეულის ამოცანები. მის სათანადო ჩატარებაში უახლოესი მონაწილეობა უნდა მიიღოს ყოველმა პიონერმა. საჭიროა აგრეთვე, რომ ამ კვირეულის ჩატარებაში შეუკავშირებელი ბავშებიც ფართოდ იქნენ ჩაბმული.

შე—ლი.

პიონერთა — ორგანიზაცია საერთაშორისო ბავშთა მოწინავე რაზმია.



# ჩემი სხოპრების გარეგანება.

ზოგი მხოლოდ წიგნების საშუალებით, თეორიულად ეცნობა სოციალიზმს.

ჩემი წიგნი კი ცხოვრება იყო.

სოციალიზმის იდეებს გავეცანი შიშველი, შეუღამაზებელი ცხოვრების შემწვობით.

ჩემი მდგომარეობა ყურში ძაბრებით მაწვეთებდა რევოლუციის სიყვარულს... მიკარნახებდა ზიზღს ფუფუნებასა და სისიეობაში აღზრდილთაღმძი.

ჩვენა გცხოვრობდით ფილაქნიან სარდაფში.

ქუჩიდან კიბის თორმეტი საფეხური უნდა ჩაგვევლო, რომ ჩავსულიყავით ჩვენს ოთახში.

იქ ნიადაგ ნესტის სუნი იდგა, ბუზებიც კი ვერა სძლებდენ.

აღამიანს ხომ სულ არ ედგომებოდა.

ისე ბნელოდა, რომ დღისითაც კი ნათურა იყო გაჩაღებული.

ტანჯვაში მიზოზინებდა იქ ჩვენი ცხოვრება.

დრო-ჟამის მდინარე კი მიქშუოდა და მიქქონდა მოწყვეტილ ყვავილებივით ჩვენი სიცოცხლის დღეები.

გარეთ გაზაფხული ჰმლიდა თვის ფერად დროშებს.

ბედნიერებს სახეები უყვავილდებოდათ.

ჩვენს ოთახში კი გაზაფხული არა კადრულობდა ჩამობრძანებას.

\* \*

ჩვენი ბინა საუკეთესო ადგილი იყო რევოლუციონერების არალეგალური მუშაობისთვის: ისეთს ყრუ ადგილას იყო, რომ თუნდა ზარბაზანიც გავვესროლა, ვერავინ გაიგებდა.

მალე შევნიშნე, რომ ჩემმა უფროსმა ძმამ, მქედელმა ლევანმა, საიდუმლო კრებების მართვა დაიწყო.

ყოველთვის, როცა შაბათი შედამდებოდა, ქუჩებში ზურნა-არღნის ჭიკჭინი გაეგებოდა, ლოთუსეინები აირეოდენ.

ლევანი კი სწორედ ამ დროს ქარხნიდან შინისკენ ეშურებოდა, რაღაცის სამზადისს იწყებდა ხოლმე.

სკდილობდა აღრე დამეძინა, რომ არ გავმხდარიყავი მოწმე იმ რაღაცა საქმიანობისა.

ჯერ არ ვაქცედი ყურადღებას, გუმანი არა მქონდა ართმეული, მაგრამ, რაც ხანი გადიოდა, თანდათან ეჭვი მიპყრობდა.

რას ნიშნავს ეს?

რათ მირიდებენ?

განა ისეთი რა აქვთ სახეაშიალო?

უნდა გავიგო მათი საიდუმლოება.

ვიწყე ლოღინი შესაფერი შემთხვევისა.

\* \*

ერთს შაბათს ჩვეულებისამებრ ადრიანად ჩამოწვინეს ლოგინში.

მე თავი მოვიმძინარე.

არ გაუვლია დიდხანს, რომ ჩვენი კარი ფრთხილად დარახუნდა.

გაუღეს...

შემოვიდა ვილაცა მუშა.

ეტყობოდა, რკინიგზის სახელოსნოელი იყო. ტანისამოსი მახუთით ჰქონდა გაჟივებული.

ძველი მეგობრებივით მიესალმა ლევანს და დედაჩვენს.

გაიარა ორიოდ წუთმა.

მოვიდა მეორე, მას მოჰყვა მესამე.

ასე კანტი-კუნტად ემატებოდენ.

ყველას სახეზე აღბეჭდილი იყო ღრმა ფიქრები, რწმენის სიმტკიცე.

ყოველს მოძრაობაზე ეტყობოდათ, რომ გათვალისწინებული ჰქონდათ საქმის სერიოზობა.

მეტად წინდახედულად ეჭირათ თავი.

— ახალი ლავაშები ხომ არ გამოცხვარა? — იკითხა ერთმა მუშათაგანმა.

— ლავაშები? რა ლავაშები? რა დროს ლავაშები? — გაკვირვებით ვიმეორებდი კურდღელივით გამომზირალი.

— როგორ არა, მზადაა!.. ცხელ-ცხელია!.. — სთქვა ლევანმა.

მე უფრო ვცქვიტე ყურები.

ლევანმა ბუხრის მილს მჩვარი გამოაძრო და გამოიღო მთელი ბლუჯა რაღაცა ქაღალდებისა.

ყველა აღტაცებაში მოვიდა, დაიტაცეს. შრიალ-შრიალი იწყო ქაღალდებმა.

ესენი აღმოჩნდა ფურცლები არალეგალური ორგანიზაციისა.

კონსპირაციის მიზნით მათ ლავაშებს უწოდებდენ.

ერთმა მუშამ სასოებით წაიკითხა ის ფურცელი. ცეცხლოვანი სიტყვებით იწყებოდა იგი.

ასე გრძობით ნაწერი ჯერ არაფერი მომესმინა.

ეს იყო ჩემ მიერ პირველი საიდუმლო ფურცლის მოსმენა და მე ვერხვის ფოთოლოვით ავერჯოდდი, მის შრიალს რომ ვუგდებდი ყურს.

ბევრ რამეზე იყო იქ საუბარი. ყოველი სტრიქონი იმედებით ავსებდა ადამიანს. ყურს უკვე ესმოდა შორეული გუგუნი დიადი ქარიშხლებისა და მიწისძვრებისა.





ამ ფურცლის შინაარსმა უფრო გაახშირა ჩვენს ოთახში საუბრები შორეულ მზიურ ბედნიერებაზე. ეს საუბრები ისე მომხიბლავები იყო, როგორც მთების მწვერვლებზე ამაყად გადმომდგარ კანჯართა ჯოგები.

\* \*

მალე საქაიანი სხდომაც გაიხსნა.

მუშებმა კრების თავმჯდომარედ ლევანი ამოირჩიეს.

არ მოველოდი, თუ ლევანს ისეთ მომზადებულ და მარჯვე ადამიანად სთვლიდენ.

არც მეკონა ლევანი ასე უნარიანი.

სულ ერთად ვცხოვრობდით და მაინც არა გვცნობია იგი ფარსაგად, არა გვცოდნია მისი ყადრი.

ასეა ყოველთვის: ძალიან ნაკლებ იცნობს მას, ვინც ყველაზე ახლოა შენტან.

ყოველდღიურობა ჩრდილავს ადამიანის უმთავრეს ღირსებებს, საპაგიეროდ აღიდებს წვრილმანებს, უარყოფით მხარეებს.

ლევანმა დაიკავა თავმჯდომარის ადგილი და... მყის გაიზარდა, გადიდდა.

ღირსეულად უძღვებოდა კრებას.

კარგი სარდალივით მარჯვედ ექირა კრების სადავეები.

დაიძაგრა გრძობა-გონების ძაფები.

არავინ დარჩენილა უმოქმედო.

თითქოს გაეჯიბრენო, ერთი-მეორეს სცვლიდა მუშების მოსწრებული და გონებამახვილობის ელვარებით გაბრწყინებული აზრები.

ვუყურებდი მათ და მიკვირდა:

სადა ჰყოფნიდათ მოქანცულ მუშებს ამდენი მხნეობა, რომ ასე გატაცებით არკვედნენ რთულ კითხვებს.

ისინი გრძობათა კოცონში სწვავენ ძველ კერპებს, ძველ შეხედულებებს.

სწერდენ, ჰხაზავდენ ახალს რუქებს ახალი ქვეყნებისას.

\* \*

მზურვალე კამათის შემდეგ გამოიტანეს რალაც დადგენილება და ფრთხილად დაიშალენ.

წავიდენ...

გაიკრიბა დაეუბნებელი ჰაერიც.

მათ თან დაედევნა ჩემი განუსაზღვრელი სიყვარული.

ლელვისგან მოთენთილს მალე ჩამეძინა.

დიდი ხანია ასე ტკბილად არა მძინებია.

ძილი გამკრთალი მქონდა სარდაფის ნესტისგან გამოწვეული თავის ტკივილით.

ახლა კი ღრმად ჩამეძინა.

გაზაფხულის გარიჟრაჟის სპეტაკი წიქრებიანი შემომებურენ ტკბილი სიზმრები.

ყველა სიზმრებში იმ მუშების მგზნებარე სახეები ელავდენ.

აი, მგონია, ვითომც მე ვარ მოქარავნე.

ვიმყოფები უდაბნოში.

ირგვლივ ამომშრალი ოაზისები.

გადამრჩვალი აქლემები.

დაწრეტილი წყლის ტიკები.

დაქიმიითული ყორნები, რომელნიც ჰგრძნობენ, რომ ქარავანი დიდხანს ველარ გაუძლებს სიცხეს, უწყლობას.

მალე მათ საკორტნავ ალაფად გადაიქცევიან.

ვგრძნობ მე—მოქარავნე, რომ მიახლოვდება სიკვდილის ჩრდილი...

მაგრამ ჩუ!..

სადაც ახლოს სხვა წკრიალიც გაისმა.

ღურღური... ჩუხჩუხი...

ოაზისია, მწვანე, მოღალანე ოაზისი.

ბუჩქებში ამოსჩქეფს წყარო.

მწყურვალე ირემსავით ვეწაფები.

ვეამბორები წყაროს, ვეამბორები ჩირგვეს,

ვეამბორები თვითეულ ბალახს...

და ყველაფერი, ყველაფერი იმ მუშებს მაგონებს... იმ მუშებსავით მომიტხრობენ მომხიბლავ, მშვენიერების ზღაპრებს.

\* \*

სულ მტრედისფერ სიზმრებში ვატარებდი ღამეებს.

სასოებით მოველოდი შემდეგ შაბათს.

რაც გიყვარს, ყოველთვის იგვიანებს.

\* \*

როგორც იყო, ველირსე შაბათსაც.

შებინდა. კვლავ მოვიმძინარე თავი.

აღრინდულად მოგროვდენ მუშები.

ისევ მოინისლა ჩვენი ოთახი წეკოს და იაფფასიანი თამბაქოს კვამლით. ჰაერი გაიჟღინთა ოფლის დამბნედი სუნით.

სულის მოთქმა გასჭირდა.

მაინც ბედნიერად ვთვლიდი თავს.

წალკატის სურნელებაშიაც არ გავცვლიდი იმ მოშხამულ ჰაერს.

გატაცებით ლაპარაკობდენ მეცნიერულ სოციალიზმზე.

ეტყობოდათ, რომ სწამდათ სოციალიზმის გარდაუვალობა.

სჯეროდათ, რომ მალე დაანთებდენ ბედნიერების მხეებს...

აღმოაჩენდენ ახალ მაღაროებს ნეტარებისას,





მათს შემხედვარეს მავიწყებოდა ტიალი ბედი, რომელიც ინადში გვედგა...

კვლავ დაიშალენ მუშები.

ნახვამდის, ძვირფასო, ნახვამდის, სულის შევარდნებო!

\* \*

გადავწყვიტე, მეორე დღესვე გამოვტყდომოდი ძმას, მეთქვა, რომ ვიცი, როგორცა ჰმართავს კრებებს, რასაც ლაპარაკობენ. მოვთხოვე, მომცეს ნება სხდომაზე დასწრებისა. ასე ვაგრძელება შეუძლებელია, ულამაზოა.

რასა ჰგავს, თქვენი ჭირიმე, საბნის წვერიდან თვალიერება და ყურის გდება... რა ისეთი ბავში მნახეს, რომ არა მანდონ რა.

გათენდა თუ არა, ულტიმატუმი წარვუდგინე ლევანს.

ლევანმა ისახტა. შორს დაიჭირა ჩემი სურვილი. ისევ ბავშად მთვლიდა.

— აი, შე ლობემძვრალავ, შენა!.. რა შენი საქმეა ესა?

მე ვიწყინე. ავიტკიცე.

შეიქნა ჩვენ შორის სიტყვიერი ბრძოლა.

მე ერკემლის სიჯიუტით ვებრძოდი.

იძლია ლევან.ი.

ნება დამართო.

რა ბედნიერება იქნებოდა, ყველა სურვილები რომ ისე სრულდებოდეს, როგორც აცხადდა ჩემი გულის მურაზი.

დამდევ შაბათს მეც ვერძე ჩვენსა შეკრებილ მუშებში.

ისინი მეალერსებოდენ, მახალისებდენ.

ვცდილობდი, ბავშობა არაფერში შემტყობოდა. ბედნიერად ვთვლიდი ჩემს თავს.

მე, ვილაც ქყინტლს, მართლაც და ლობემძვრალას, მენდობოდენ, საიდუმლო საქმეებს მიზიარებდენ.

ისიც როდის?

საშინელი რეაქციის და ტერორის მძვინვარების დროს.

\* \*

ბევრ დროს არ გაუვლია, რომ მე მუშებისათვის ფრიად სასარგებლო წევრი გავხდი.

გამოირკვა, რომ საქირო იყო არალეგალური მუშაობისათვის სრულიად ახალგაზრდა ვინმე.

ქანდარმერიამ გააძლიერა მუშების დევნა.

ყოველ ნაბიჯზე სჩხრეკდენ, ბრალიანს და უბრალოს აპატიმრებდენ.

არალეგალური ორგანიზაციის წევრები ველარ ახერხებდენ ერთმანეთთან კავშირის დაქერას.

უნდა ეზოვნათ მხნე, გამბედავი კომიტეტის წევრთა შორის, მიეტან-მოეტანა ერთმანეთისთვის ამბები, ფურცლებიც გადაეზიდნა ქარხნებში.

ასეთ ახალგაზრდას კავშირობა უნდა გაეწია კომიტეტის წევრთა შორის, მიეტან-მოეტანა ერთმანეთისთვის ამბები, ფურცლებიც გადაეზიდნა ქარხნებში.

სხვა ვერ გამოენახათ შესაფერი, ჩემზე გაჩერებულნიყვენ.

ერთ საღამოს ლევანმა ჩამომიგდო აშ საქმეზე საუბარი.

პირველ სიტყვაზედვე მივხვდი, გავიგე, რაც სწაღდა.

გამიხარდა, ველარც კი დავმალე ჩემი დეღვა, თუმცა ვცდილობდი ისე მიმელო, როგორც ჩვეულებრივი რამ დავალება.

— იცოდე, დიდი დაბრკოლებანი გადაგელობება.

— მე დავძლევ მათ.

— რომ დაგიჭირონ, გაწამონ ქანდარმებმა?

— წამება ვერ შემაშინებს. რევოლუციონერი ისევე უნდა იყოს მზად თუნდა სიკვდილისთვისაც კი, როგორც გამარჯვებისთვის.

რომ უფრო შევებოტე მოვალეობის შეგნების აპურებით, ფიცი მომთხოვა.

ჩემმა ბაგეებმა მყის ამოსკვნეს მტკიცე ფიცი, რომელიც არასოდეს არ დამირღვევია:

— უმალ ჩანჩქერები უფსკრულებიდან აღმა შებრუნდებიან, ვიდრე მე გადავუხვევდე წმინდა რევოლუციონურ გზას.

\* \*

ლევანმა სიფრთხილისათვის მასწავლა საქირო ირიბული ლაპარაკი, ჭრელი ქარაგმები.

ლევანმა ისიც მითხრა, რომ კონსპირაციისათვის გამოცვლილი სახელი უნდა მრქმეოდა.

მე ვარჩიე მიმელო სახელი „სურამის ციხის“ გამირის ზურაბისა.

ლევანმა მომიწონა არჩევანი.

იმ დროიდან მუშათა შორის ზურაბის სახელით ვიწოდებოდი.

ეს ნათლობა საქმით დაიწყო.

ლევანმა მომცა ერთი ბოხჩა საიდუმლო ფურცლებისა.

ისინი უნდა წამელო და სამრეწველო უბნებში დამეფანტა...

მე ახალგაზრდული ენტუზიაზმით შევასრულე ნაკისრი საქმე.

მას მოჰყვა სხვა, უფრო გაბედული ნაბიჯები. მაგრამ ამაზე როდისმე, სხვა დროს.

დ. თურდოსპირელი.



### ტუის ფოთლები.

ვშრიალებთ, ვშრიალებთ ფოთლები ტყის,  
ვახარებთ მიდამოს, ვახარებთ ცას,  
დაგვნათის გაშლილი მშვენება დღის,  
გვწყურია სიცოცხლე, არ ვნატრობთ სხვას...

ავშალეთ დროშებად სიმწვანის ზღვზ,  
გავცქერით მთა-გორებს ამაყად, მხნედ,  
მზისაგან ვიზიდავთ სხივების ღვარს,  
მზისაგან სინათლე გვესხმევა ზედ...

ჩვენ გვიყვარს ნიავი, ლალად რომ ჰქრის,  
ყურში რომ ჩაგვხარის საამო ხმას,  
ის ტოტებს ხან ასწევს, ხან დაბლა ჰხრის,  
ჩვენს გულში ცულღულტობს, ჩვენ სუნთქვას სვამს...

როდესაც კამარას გადივლის მზე  
და ნისლითა ამარა დასტოვებს ცას,

ვებვევით ბინდში და ფიქრებსა მწველს  
ვუშენებთ ღრუბლების კოშკებს და მთას...

გულში გვეპარება ცახცახი, წვა  
და ველით უჩუმრად მთვარისა შუქს,  
გვაპკურებს უღეველ სხივების ცვარს  
და გვიხსნის გულ-მკერდსა მწვანეს და მუქს...

და თუ დაიქროლა ნიავეა, კვლავ  
ასტყდება ხარხარი მთელისა ტყის,  
ვერ ნახავს ვერავინ წუხილის კვალს,  
და გულის სიხარულს ისევე ხსნის...

ვშრიალებთ, ვშრიალებთ ფოთლები ტყის,  
ვახარებთ მიდამოს, ვახარებთ ცას,  
დაგვნათის გაშლილი მშვენება დღის,  
გვწყურია სიცოცხლე, არ ვნატრობთ სხვას...

ე. პოლუმორდვინოვი.

### ქურის გავშეპი.

შავი ღამე დაეცა,  
ვით დაქრილი ყორანის,  
და სიჩუმე ქუჩებში  
ისევე მოიკალათებს.  
მხოლოდ სადაც ფანჯრები  
ანათებს რესტორანის,  
უბინაო ბავშვებმა  
კვლავ ჟივილი გამართეს.

კვლავ პირქუში მსახური  
ერეკება გინებით,  
მაგრამ შიმშილს ვერ უძლებს  
მათი სუსტი სხეული —  
და კარებთან მოსჩანან  
გაშვერილი ხელები,  
და სახეზე — უდროო  
ნაოჭების ხეული...

ვისაც ბედი გილიმით,  
მიხედეთ მათ აღერსით,  
ბავშვებს შევეუშუბუქათ  
მწარე ღღეთა ტრიალი!  
ეი, მგზავრო, ხომ ხედავ,  
თუ რა ნატვრით მოგსდევენ  
უკან მათი თვალები,  
ფერმკრთალი და მტირალი?

მათ გულს ვინ დააყუჩებს,  
ან ვინ მიუალერსებს?  
მხოლოდ სადმე კუთხეში  
ქარი ძინესით ჩაივლის...

ტკბილ სიზმრებით, იმედით  
ხვალინდელ დღეს გაუვსებს,  
და ცხოვრება სხვაგვარი  
წუთით, წუთით გაივლის.

და როცა მზე ანათებს  
და ქუჩებში მათსავით  
ნორჩ ბავშვების რიგები  
სიმღერებით მოდიან,  
მათი გული ობოლი  
მაშინ ნატვრით ივსება,  
მისდევნენ და თავები  
ბედნიერი ჰგონიათ.

მრავალია ასეთი  
და, ვინ იცის, რამდენი  
ბნელი ქუჩის კუთხეში  
უპატრონოდ მოკვდება.  
ირგვლივ მზეს გაუშლია  
თბილ სხივების ბადენი...  
მათი დღე კი უაზროდ  
და წანწალში მოკლდება.

ის ცხოვრება გავიდა  
მრავალ წლებით ნაწამი,  
დღეს მიწაზე ელვარებს  
სიხარულის თვალია!  
უპატრონოს ცრემლიანს  
და ფერმიხდილს წანწალით  
დავეხმაროთ, იცოდეთ,  
ჩვენი დიდი ვალია.




# ფალიკოს მოგზაურობა

(მოთხრობა)

ისე დილა არ გათენდებოდა, რომ ფალიკო ჯერ კიდევ ჩაუცმელი ფანჯარასთან არ მისულიყო და მისი მინებიდან არ ეცქირა ჰორიზონტისთვის, რომელიც შორეული ხაზით აერთებდა ცასა და მიწას.

ამ ცქერაში ხშირად ფიქრები იტაცებდნენ, ხანდახან კი ისე ეჩვენებოდა, თითქოს ამ ხაზის იქით აღარაფერი არ არსებობდა, თითქოს ქვეყანა ამ ხაზთან თავდებოდა; მაგრამ ეს ფიქრი მხოლოდ წუთით გრძელდებოდა, რადგან მაშინვე აგონდებოდა კლასში ნასწავლი ზღვების, ოკეანეების და მრავალი ქვეყნის არსებობის შესახებ...

— მამაჩემო, მითხარი, დიდი არის ამერიკა? — ხშირად შეეკითხებოდა ხოლმე ფალიკო თავის მამას, რომელიც უპასუხებდა:



ხშირად ფიქრები იტაცებდნენ.

— დიდა, მაშ, ძლიერ დიდი; მაღალი სახლებია იქ აშენებული...

დიდი გულმოდგინებით უსმენდა ხოლმე ფალიკო მამის პასუხს და შემდეგ წარმოიდგენდა ამერიკის უზარმაზარ ქალაქებს, ზღვის ნაპირებზე უამრავი ნავსადგურებით და ლამაზი გემებით.

ერთხელ მამამ ფალიკოს ორი დიდი სურათი მოუტანა, რომელიც ლამაზად დახატული და ლამაზადვე შეფერადებული იყო...

ერთი სურათი გამოხატავდა ნავსადგურს, საიდანაც მოსჩანდა ლურჯად გადაქიმული ზღვა და

ზღვაზე გადმოწოლილ ცაზე კი — შავად და თეთრად ამღვრეული ღრუბლები...

გემზე, რომელიც ნავსადგურთან იდგა, მეზღვაურები მუშაობდნენ და ეტყობოდა, რომ გემი გასამგზავრებლად ემზადებოდა...

მეორე კი წარმოადგენდა აფრიკის დაბურულ ტყეებს, სადაც დარბოდნენ შავკანიანი, მზისაგან დამწვარი მამაკაცები, გარეულ მხეცებზე მონადირენი...

ამ სურათებმა მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა; რამოდენიმე წუთის განმავლობაში ხმაამოუღებლივ დასცქეროდა მას, თითქოს სურდა ღრმად ჩასწვდომოდა, მაგრამ სურათი მაინც სურათად რჩებოდა და სინამდვილე კი შორს იყო.

— მოგწონს, ფალიკო, ეს სურათები?.. ხედავ, რა ლამაზი გემია, რა ლურჯია ზღვა და ცა კიდევ რა მრავალფეროვანი?

— მომწონს, მამ, მომწონს... მეტი არ იყო სურათები?.. კიდევ მიყიდე სხვებიც, — ბავშური სურვილით გატაცებული შეეხვეწა და მამას კისერზე მოეხვია...

— აი, აილე... რაც მოგესურვოს, ის იყიდე, — უპასუხა მამამ და გაუწოდა ფალიკოს ქალაქის ფული, რომელიც მან ოთხად დაკეცა და მუჭაში მოიქცია...

ახლა მან უკვე აღარ იცოდა, რაში დაეხარჯა, ჩაფიქრდა...

თვალები კედლის ერთ წერტილს მიაჩერა და წარმოიდგინა ხან შექარლამაში ამოვლებული ტკბილი ნამცხვარი, ხან სათამაშოები, მაგრამ მაინც ერთი აზრი ვერ გამოენახა...

— რასაკვირველია, წიგნები უნდა ვიყიდო, — თითქმის ხმამაღლა წაილაპარაკა ფალიკომ და გამოერკვა კიდევც... ამ დროს იმ კედელზე, რომლისკენაც მიპყრობილი ჰქონდა თვალები, შენიშნა კარგა მოზრდილი რუკა, დაკლავილხაზებიანი და მრავალ რკვალ წერტილებიანი...

მიუახლოვდა... ჯერ მონახა კარგა მოზრდილი შავი რგოლი, რომლის გვერდითაც ეწერა „ტვილი-





სი“. საჩვენებელი თითი გააყოლა შავად დაკლავილ ხაზს და შეჩერდა მეორე რგოლთან.

აქ ეწერა „ბათომი“...

ბათომთან თავდებოდა მიწის ნაპირები და იწყებოდა შავი ზღვა, რუკაზე ლურჯად შეღებილი... იმის იქით მოსჩანდა კიდევ ზღვები, ოკეანეები, კუნძულები და სხვა უცნობი ქვეყნები...

ფალიკოს განებაში რალაც აზრმა გადაურბინა, ჯერ გადახედა ოთახს, მხიარულად მოსაუბრე დედამამისკენაც გაიხედა, ფანჯრიდან ქალაქსაც გახედა, შემდეგ კი თვალები უჩვეული ნაპერწკლებით გაუნათდა. გაწითლდა, რალაცის შერცხვა და თავი ჩაღუნა...

— აღარ მიდახარ?... — გამოეხმაურა მეორე ოთახიდან მამა, როდესაც შენიშნა, რომ ფალიკომ ქუდი თავის ადგილას დაჰკიდა და ფიქრებში გართული ფანჯრის მინებს მიაჩერდა...



მეზღვაურები მუშაობდნენ და ეტყობოდა, რომ გემი გასამგზავრებლად ემზადებოდა.

— არა, მამა, ხვალ ვიყიდი. ახლა ამხანაგს ველო, — ხმის ოდნავი კანკალით უპასუხა ფალიკომ და სახე მიიბრუნა, რომ არ შეემჩნიათ სიწითლე და დაბნეულობა...

ერთი საათის შემდეგ კი ფალიკო დიდი მზრუნველობით ათვლიერებდა თავისი მაგიდის უჯრებს, სადაც ეგულებოდა ჯიბის დანა, სასტვენი, უბის წიგნაკი და კიდევ სხვა პატარა ნივთები...

ყველაფერი ჯიბეში ჩაილაგა და ჩაის დაღვევის შემდეგ ჩვეულებისამებრ საწოლისაკენ გაემართა...

კედლის საათმა თერთმეტი რომ ჩამოჰკრა, ფალიკომ საწოლიდან თავი წამოჰკო. მიიხედ-მოიხედა და ჩაწეული სანათის მბჟუტავ სინათლეზე დაინახა თვისი მძინარე დედ-მამა...

გაჩუმდა...

როცა დარწმუნდა, რომ მათ მართლა ეძინათ, ფრთხილი სისწრაფით ტანთ ჩაიცვა.

რამოდენიმე წუთის შემდეგ კი ქალაქის სადგურისაკენ მიემართებოდა და გულში კი ფიქრობდა:

„გავემგზავრები ბათომში, ვნახავ ზღვას, გემებს, მეზღვაურებს“... ფიქრობდა კიდევ იმასაც, რომ მათთან ერთად იმუშავებდა გემებზე, რითაც დაანახებდა ყველას თავის უნარს და ღონეს...

ფიქრებში გართულმა ვერც კი შეამჩნია, თუ როგორ მივიდა სადგურში. რამოდენიმე ხნის შემდეგ კი მატარებელში იჯდა და მიჰქროდა შორს, მისთვის უცნობ მხარეში, სადაც ეგულებოდა ლამაზი ბუნება, ზღვა, გემები და მეზღვაურები...

\* \* \*

ბათომში რომ ჩავიდა, დღის თორმეტი საათი იქნებოდა.

პირველ დღეს ქალაქი მას ეუცხოვა კიდევ. მისი ქუჩები არ წააგავდა ტფილისის გრძელ და დაკლავილ ქუჩებს. ისინი იყო უფრო სწორი და პატარები; თუმცა თვით ქალაქიც პატარა იყო...

ერთი დღე მოანდომა ქუჩების და სასეირნო ბულვარის თვლიერებას, რომელიც ზღვის პირას იყო გაშენებული.

მეორე დღეს, დილით, ფალიკომ გაიარა პარკისაკენ მიმავალი გზა და გაჩერდა ერთ კარებთან, საიდანაც მოსჩანდა შავი ზღვა, მშვიდი და გაზაფხულის მზით გაბრწყინებული...

შორიანლოს დასკურავდენ პატარა ნაგებობები და მგზავრებს ასეირნებდნენ ზღვაზე.

პატარა ბიჭები ნაპირთან ბანაობდნენ და ძლიერ ხშირად ღრმად შეცურვასაც ბედავდნენ, თანაც უშიშრად წყალში ყურყუმლობდნენ.

იქვე იდგა კაცი, ხელში არყის ბოთლი ეჭირა და საშინლად იღანძვებოდა...

ფალიკოს დანახვაზე ხრინწიანი ხმით დაიწყო მღერა:

„მამაჩემი იყო მყვინთავი,  
მე ვარ მყვინთავი  
და შენც გამოგიყვან მყვინთავს,  
იმიტომ, რომ მე მიყვარს ზღვა“...

ფალიკოს არ ესმოდა, თუ რას ნიშნავდა მყვინთავი. ისე კი ამჩნევდა, რომ არასასიამოვნოდ იღრჩვებოდა.

სხეულში შიშმა გაურბინა.

საჩქაროდ თვალი აარიდა და გაიქცა მარჯვნივ ქუჩის სიგრძეზე. სირბილმა დაღალა. სუნთქვა შეეკრა და გაჩერდა...

მიმოიხედა და დაინახა, რომ ის იდგა დიდი ალაყაფის კარებთან, რომელშიც ბარგი-ბარხანით დიდძალი ხალხი შედიოდა.

ფალიკოს საფიქრებელი არა ჰქონდა რა. შეისწორა თავისი ახალი საზაფხულო ხალათი და შიგ





შევიდა. ჯერ გაუბედავად ათვლიერებდა იქაურობას, მაგრამ როდესაც ნახა ხალხით სავსე მოედანი, რომლის ბოლოშიც რაღაც არაჩვეულებრივი სახლი აყუდებულიყო, მაშინვე მიხვდა, რომ ის ნავსადგურში იმყოფებოდა.



იღვა, ხელში არაყის ბოთლი ეჭირა და საშინლად ილანძღებოდა...

გემთან ახლოს მივიდა. ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და დაუწყო შორიდან თვლიერება, მერე მივიდა ხიდთანაც, სადაც კონტროლიორები ხალხს ბილეთებს უსინჯავდნენ და ერთ მეზღვაურს შეეკითხა:

— ძია, სად მიდის ეს გემი?..

— სადა და ამერიკაში, — უპასუხა მოლიმარე მეზღვაურმა.

ფალიკომ დაიჯერა და გულში უკვე გადასწყვიტა კიდევ, რომ სწორედ ამ გემს გაჰყვებოდა სამოგზაუროდ...

ცოტა ხნის შემდეგ კი მეზღვაური შორიდან უცქერდა და გულიანად იცინოდა ფალიკოზე.

ეს იყო პატარა გემი, რომელიც მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროებზე მოგზაურობდა.

პატარა ხანს გაჩუმებული შესცქეროდა და ხედავდა, თუ როგორ ტვირთავდნენ მუშები ამ გემს.

იქვე გემიდან მოაჯირს გადაჰბჯენოდნენ მეზღვაურები და უცქეროდნენ მოკუთრებულ მელაზეებს, რომელნიც მრავლად მოიპოვებოდნენ ზღვაში.

ნახევრად დაშვებული იალქნები ფრიალებდნენ ქარის ოდნავი შემობერვით და გემიც ტოკავდა, ირხეოდა.

რომოდენიმე ხნის შემდეგ ხალხმა გემზე ასვლა დაიწყო და შესავალთან მდგომნი კი მათ ბილეთებს უსინჯავდნენ...

თავდახრილი გემზე ავიდა და შეჰყვა შემავალ ხალხს. მოაჯირთან მდგომს მისი შეჩერება უნდოდა, მაგრამ ზურგში მომავალი ქალი მისი დედა ეგონა, რის გამოც ხმაარ გასცა...

ასვლისთანავე მოსძებნა სამშვიდობო რეგულაციები. სადაც ვერავინ შენიშნავდა და მოიკალანდა უნიკალური გემის წინა მხრისკენ კარგა მოზრდილი კუნჭული, რომლის ძირშიც კიბეები ჩადიოდა და ქვევით კი მოსჩანდა გადარაზული კარები.

ჯერ კიბეების მოაჯირს მიეყრდნო და ათვლიერებდა გამვლელებს, რომ შეესწავლა, თუ ვინ ვინ იყო, ან და ვის შეეძლო მისთვის ხმის გაცემა...

ახლა მას შეემჩნა დაღლილობაც და უძილობაც.

კუთხეში ჩამოჯდა და ფიქრებს მიეცა...

ამ ფიქრებში ტკბილად ჩაეძინა...

\* \* \*

გემზე გაცხოველებული მუშაობდნენ.

იალქნები აუშვეს, ღუზა ამოიღეს და ნაპირს მოშორდნენ კიდევ.

დღის სინათლეში გემი მიაპობდა ტალღებს და მისრიალებდა ზღვის დაუსრულებელ ზედაპირზე, თანაც ოდნავ ტოკავდა.

ფალიკოს ეძინა. ის ვერ ამჩნევდა, რომ შორდებოდა მიწის ნაპირებს და მიდიოდა სადღაც შორს, მისი ფიქრით, ამერიკისაკენ.

უცბად რაღამაც შეარყია მისი სიმშვიდე და თვალები გაახილა.

საღამოს ბინდი ჩამოწოლილიყო და გემის ნაწილები ჩრდილის ფრად მოსჩანდა.

გარემო სიწყნარეში ისმოდა მხოლოდ ზღვის ტალღების შრიალი, რომლებსაც გემი ჰკვეთდა.

ახლა ზღვა იყო ლილისფერი და ლურჯი ციდან კი დასციმციმებდნენ ვარსკვლავები, თითქოს ზღვაში საკუთარ სახეებს ეძებნო.

შორს კი, ჰორიზონტის ხაზზე, ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ დაბინდებული ღრუბლები. ზოგან ბამბის მთებივით ამართულიყვნენ და ტალღების ჩხუბს მოწმობდნენ...

ტანში ჟრუნტელმა გაუარა. სიცივე იგრძნო და უფრო მეტად მოიკუნტა.

იგრძნო მარტოობა. წუხილმა მოიცვა მისი გული.

მოაგონდა დედა, მამა, თბილი საწოლი და მშობლიური ტკბილი სიტყვები.

სახლი მოენატრა.

გულჩათხრობილი ვაცქეროდა გემიდან ცას, ზღვას, ღრუბლებს და ეძებდა მასში სიმშვენეირს, რომ სინანულს არ დაეტანჯა.

ახლა ბუნება მართლაც მშვენეირი იყო.

ამ დროს ცის თაღზე ღრუბლებიდან მთვარე ამოჰყო თავი და ცივი სხივები მიანათა ზღვასაც და გემსაც...



ფალიკო უკვე ხედავდა ყველაფერს, რაც მის გარშემო იყო: მოაჯირი, კიბეები და კიბეების ძირში კარები.

კარები ვილაცას გაეღო და მთვარის შუქი შიგოლნავ იჭრებოდა. ცნობისმოყვარეობამ გაიტაცა. კიბეები ჩაირბინა და შეიხედა. სიღრმეში ბნელოდა. ვერაფერს ნახა.

მკირე ხნის შემდეგ სიბნელეს თვალი გაუსწორა და შენიშნა რკინის კასრები, ერთი-მეორის გვერდით დაწყობილი.

ეს იყო სარდაფი.

შიგ შევიდა. პატარა ხანს შეჩერდა და სმენად გადაიქცა.

სარდაფის ჭერიდან რაღაც ჩხრიალი და მფეთქავი ხმები ისმოდა.

წაკითხული წიგნებიდან გაიხსენა, რომ იქ სამანქანო განყოფილება უნდა ყოფილიყო.

იქვე რაღაც ტომრები მოსძებნა და რბილად წამოწვა...

აქ აპირებდა დარჩენას, ვიდრე ამერიკაში არ ჩავიდოდა.

კვლავ ძილი დააპირა, მაგრამ ახმაურებული მანქანები ძილს უფრთხოებდნენ, მეტადრე ერთი ხმა, რომელიც ადამიანის გულის ცემას ჰგავდა, მხოლოდ უფრო ჩქარი და ძლიერი იყო.

უნებლიედ უსმენდა და დაბინდულ ჰაერში თვალებს აცეცებდა. გარკვევით დაინახა კასრები, რომლებიც უსათუოდ ბენზინით უნდა ყოფილიყო სავსე, და ტომრები კი — ტყავეულობით გატენილი.

უცბად მისმა თვალებმა შენიშნა ნაპერწკლები, რომლებიც ჭერის ერთი კუთხიდან ცვიოდა მფეთქავ ხმებთან ერთად...

წამოხტა. მივიდა უფრო ახლო და უფრო გარკვევით დაინახა პატარა ცეცხლი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა.

კედლის ერთ ნაწილს გასჩენოდა ცეცხლი და ნელინელ ემატებოდა.

„ცეცხლი გემზე!“.. სწრაფად გაივლო გონებაში და გაიფიქრა ისიც, რომ ასეთი ცეცხლისაგან ხშირად იღუპებიან გემები, მგზავრები...

მას უნდოდა ჩაექრო, მაგრამ რითი, ცარიელი ხელებით ხომ ვერ შესძლებდა?..

შეეტყობინებია ვისმესთვის?..


მაშინ ხომ თავის თავს გასცემდა და, როგორც შემოპარულს, დაიჭერდნენ კიდევ?!.

ერთხანს ყოყმანში იყო...

— არაფერია, გემსა და ხალხს ხომ გადავარჩენ?.. წაილაპარაკა თითქმის ხმამაღლა და კიბეები აირბინა. თვითონაც არ იცოდა, ვისთან მისულიყო.

გემის ბაქანზე ავიდა. წინა მხარეზე და ერთ-ერთი ფანჯრიდან შენიშნა ადამიანი, რომელიც კარგა მოზრდილი და სქელი მინიდან იცქირებოდა...

ამ ოთახს სწრაფად კარები მოუხანა და შევარდა შიგ...



უცბად მისმა თვალებმა შენიშნა ნაპერწკლები...

— მითხარით, თქვენა ხართ კაპიტანი?.. შეშფოთებული და თანაც საქმიანი ხმით შეეკითხა ფალიკო შიგ მყოფს, რომელიც მისჩერებოდა კედლებზე მოწყობილ ისრებს, სახელურებს და ხმაჩაკმედილი მუშაობდა.

— კაპიტანი?.. არა, მე არა ვარ. რისთვის გინდათ კაპიტანი?.. უხალისოდ უპასუხა და ბავშს თავიდან ფეხებამდე ახედა.

— მე კაპიტანი მინდა ან მისი თანაშემწე. მე მოვრიგებარ ქვედა სართულიდან. აი, სწორედ ამ იატაკის ქვეშ ცეცხლია გაჩენილი. უნდა შევატყობინო, რომ დროზე მოასწორონ ჩაქრობა.

ფალიკომ სიტყვები ვერც კი დაამთავრა, რომ მისმა მოსაუბრემ კედელში თეთრ წერტილს თითი დაადო და ვიდრე ზარის წკრიალი დამთავრდებოდა, შემოვარდა მეზღვაური გრძელი ქერა უღვაშებით, მზისგან ბრინჯაოსფრად დამწვარი სახისა და შეეკითხა:

— რას მიბრძანებთ?..

— გაჰყევით ამ ბავშს და ნახეთ, რას გიჩვენებს; თუ მართლა ცეცხლია, ასტეხე განგაში. ზომები სწრაფად მიიღე, კაპიტანსაც მოახსენე...

— მესმის, — მოკლედ უპასუხა კარებთან მდგომმა და ფალიკოსთან ერთად გაემართა.

კიბეებზე ჩაიყვანა. ჩავიდნენ ქვემო სართულში და ახლა უკვე შორიდანაც გამოჩნდა ცეცხლის ალი, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა. იატაკზედაც ეცემოდა და მასაც ეკიდებოდა...

მეზღვაური შემოატრიალდა...





ფალიკომ ვერც კი მოასწრო თვალის გადგენება, ისე სწრაფად აირბინა კიბეები, მაშინ კი, როდესაც ისიც ბაქანზე ავიდა, უკვე შემოესმა განგაში. ორი წუთის განმავლობაში მეზღვაურები მოგროვდნენ და განკარგულებას ელოდნენ.

გამოჩნდა შუახნის კაცი, წითური სახის, თეთრი ტანსაცმელით და მარცხენა მკლავზე ნიშანდაკერებული. ის აღფრევებული და შეშფოთებული იყო. „გემზე ცეცხლია“, — ვიდრე მოახსენებდნენ მოესმა მას და რამდენიმე მეზღვაურით გაემართა ცეცხლის ადგილისაკენ.

განკარგულებები ძლივს ისმოდა:

— საქაჩავი აამუშავეთ. ზღვიდან წყალი ამოიყვათ. მემანქანეს გადაეცით დახუროს ბენზინის მიმწოდებელი მილი... მეცხრე სახელური გადაჭკეტოს...

— ამხანაგო კაპიტანო, გემი შეჩერდება?!

— შეჩერდეს... ღუზაც დაუშვით... გამსკდარა მიმწოდებელი მილი და ცეცხლის ნაპერწკლებსა ჰყრის...

მემანქანემ შესაფერი ადგილი მონახა და გემი შეაყენა.

შეშინებული მგზავრები ბაქანზე გამოცვივდნენ და ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— რა არის?!. რა მოხდა?!.

— არაფერია, პატარა ცეცხლი გაჩენილიყო და ჩაქრეს კიდეც... ამშვიდებდნენ იქვე, ყოველი შემთხვევისთვის ნავებთან მდგომი მეზღვაურები...

ცეცხლის ჩაქრობას თვით კაპიტანი ხელმძღვანელობდა.

ბენზინის კასრები უზრუნველჰყვეს საშიშროებისაგან.

რეზინის მილით გაყვანილი წყალი უხვად რწყავდა ჭერს, კედელს, იატაკს...

— დაათვალიერეთ, არსად ცეცხლი არ დარჩეს, გასცა უკანასკნელი განკარგულება კაპიტანმა და უკვე დამშვიდებულმა კარებისაკენ გასწია.

შემოტრიალებებისთანავე შენიშნა კუნჭულში მდგომი ბავში, რომელიც გაფაციცებით თვალიყურს აღევნებდა მეზღვაურთა მოქმედებას...

— შენ აქ ვინ ჩამოგიშვა? შეეკითხა კაპიტანი ცივი და ბრაზიანი ხმით...

ფალიკო შეკრთა. უნდოდა ეთქვა, რომ მან აღმოაჩინა ცეცხლი, მაგრამ ვეღარ მოახერხა...

ამ დროს მეზღვაურთა ჯგუფიდან გაისმა მხიარული ხმა.

— ამხანაგო კაპიტანო, ნუ უჯავრდებით მაგ ბავშს; ეს გემი მაგან გადააჩინა. მაგან აღმოაჩინა ცეცხლი და დროზე შეგვატყობინა...

— ამაწ?... როგორ?... — გაკვირვებით შეეკითხა კაპიტანი და თმაზე ხელი გადაუსვა.

— თვით გაიმბობთ დაწვრილებით, ჯერ არავინ ვიცით, თუ როგორ მიაგნო ცეცხლს, — უპასუხა იმავე ხმამ და მუშაობა განაგრძო.

— აბა, წამოდი ჩემთან... ალერსიანად წაელაპარაკა კაპიტანი და ფალიკო გაიყოლა.

გემზე ხალხი დამშვიდდა. სამანქანო განყოფილებაშიც შეაკეთეს ბენზინის მიმწოდებელი და რამდენიმე საათის შემდეგ გემმა თვისი გზა განაგრძო...

კაპიტანის ოთახში ფალიკო თამამად შევიდა... დარწმუნებული იყო, რომ ამ საქმისთვის მადლობას გამოუცხადებდნენ...

— აი, აქ ჩამოჯექი და მიაბე, როგორ დაინახე სარდაფში გაჩენილი ცეცხლი.

— იმავე სარდაფიდან, სადაც ცეცხლი გაჩნდა.

— მერე შენ იქ რა გინდოდა?..

— მე სამგზავრო ბილეთი არა მქონდა და იქ მომიხდა ჩასვლა, რომ არავის არ შევენიშნე...

— შენ აქ მარტო ხარ?

— დიახ, მარტო. მე მინდოდა მენახა ზღვაზე ცხოვრება და იმიტომ გამოვეყვი გემს...

კაპიტანი ჩაფიქრდა. თითქოს რაღაცის გახსენება უნდოდა.

მერე დააქტერდა სახეზე და შეეკითხა:

— შენ დედ-მამა გყავს?

— მყავს...

მცირე ღუმილის შემდეგ კაპიტანს სახე გაუბრწყინდა. წამოდგა. საწერ მაგიდასთან მივიდა და გაზეთი გადაშალა...

წაიკითხა ათანდე სტრიქონი, მერე მიუბრუნდა ბავშს და შეეკითხა:

— შენ ფალიკო არა გქვიან?..

— დიახ, ფალიკო მქვიან, — განცვიფრებით უპასუხა ფალიკომ.

— მე ვიცი შენი გვარიც, მე ისიც ვიცი, რომ შენ ტფილისში ცხოვრობ დედ-მამასთან, მაგრამ ის კი არ ვიცი, თუ აქ ვინ წამოგიყვანა...

— მე თვითონ წამოვედი. მე ხომ გითხარით, რომ მიყვარს ზღვები და გემები მეთქი. მე მინდა ვიმოგზაურო ყველგან, ვნახო ქვეყნები და მეზღვაური გამოვიდე, — ბავშური სითამამით ეუბნებოდა ფალიკო და თანაც ამჩნევდა, რომ კაპიტანი გულწრფელად იღიმებოდა...

— მაშ ჩემთან ერთად იმოგზაურე. ჩვენ ახლა ფოთში ჩავალთ. გზაში ბევრ კარგ რამეს ნახავ.

— ფოთში?... მე კი მეგონა უფრო შორს, ამერიკაში, — წაილაპარაკა ფალიკომ და მაშინვე თვალწინ წარმოიდგინა ის მეზღვაური, რომელმაც მოატყუა.





— ღამე ცუდად გეძინებოდა. მოდი ახლა მოი- სვენე. სადაც არის გათენდება კიდეც. ამ სიტყვებ- თან ერთად კაპიტანმა მიუთითა საწოლზე, რომე- ლიც იქვე კუთხეში იყო გამართული...

უსიტყვოდ დათანხმდა. ახლა დაღლილობა ძლიერ შეეტყო.

წამოწვა და რამდენიმე წუთის შემდეგ მიეძინა კიდეც...

დილა რომ გათენდა, მზემ ოთახში შემოანათა და ფალიკოც გამოაღვიძა. მაშინვე წამოხტა. დაუ- ხარელად ტანთ ჩაიცვა, ოთახს თვალი მიმოავლო და სიმარტოვეში დარწმუნდა.

მაგიდაზე დილის საუზმე ელაგა, სჩანდა, რომ კაპიტანს მისთვის გაემზადებია.

ფალიკოსაც ძალზე მოშივნოდა. სიამოვნებით ისაუზმა და ძაღლონე შემოკრეფილმა თავისუფლად ამოისუნთქა.

ბაქანზე გამოვიდა. აქ უკვე ხალხი გამოსულიყო და ზღვას გადასცქეროდა.

რამდენიმე მეზღვაურმა გაიარა, ღიმილით გა- დაჰხედეს ფალიკოს და წაილაპარაკეს:

— აი, ეს არის, გემი რომ დაღუპვას გა- დაარჩინა.

— პირველმა მაგან შენიშნა ცეცხლი. ეს სიტყვები მისწყდა შორს, საიდანაც ხმა აღარ ახწევდა.

ეს ამბავი მთელ გემზე გავრცელებულიყო და ყველა სიყვარულით უცქერდა პატარა ფალიკოს.

გემი კი მიცურავდა.

ხალხი ზღვას დასცქეროდა და ხედავდნენ დელ- ფინების ცელქობას, რომელნიც მოსდევდნენ გემს და დროგამოშვებით წყლიდან ჰაერში აკეთებდნენ ლამაზ ნახტომებს.

ფალიკო გაერთო ამ სანახაობით. გატაცებული მიეცა ზღვას და მის მშვენიერებას.

ამ დროს ვილაყამ დაიყვირა: „ფოთის შუქუ- რა“. ყველამ თვალები იქით მიმართეს. მართლაც, ჰორიზონტზე გამოჩნდა კარგა მალლა განმარტოე- ბით ამართული შუქურა.

ფალიკოს ეს ძლიერ მოეწონა. დაუწყო თვა- ლიერება. უცბად შემოესმა ძლიერი შხუილი და შუქურას თვალი მოაშორა, გადიხედა ზღვაში და საკვირველი რამ დაინახა.

ზღვა ორად იყოფოდა, — შავად და თეთრად. მათ შორის წვრილი ხაზი გავლებულიყო და რო- გორც ნავთი და წყალი ერთმანეთს ვერ ერევიან, ისე ისინიც ვერ ერეოდნენ...

დიდხანს იმტვრია თავი ამის გამოსარკვევად, მაგრამ მაინც ვერ მიხვდა.

გემი ფოთში შედიოდა და როდესაც ნავსა- დგურს მიუახლოვდა, დაინახა, რომ რიონი თავისი თეთრი ქაფურა წყლით უერთდებოდა ზღვის მლაშე წყალს და თითქმის შვიდი ვერსის მანძილზეც კი არ ერეოდა მასში...

ნავსადგურს მიუახლოვდა და ნაპირთან შეგრო- ვილი ხალხის წინ გაჩერდა.

მგზავრებმა გადმოსვლა დაიწყეს.

ყველა ეზიდებოდა თავის ბარგს და ქალაქისა- კენ მიემგზავრებოდნენ.

გემი დაცარიელდა.

ის-იყო ფალიკო გადმოსვლას აპირებდა, რომ ამ დროს კაპიტანმა მხარზე ხელი დაადო.

— ქალაქში წავიდეთ, ფალიკო, მოგეწყინე- ბოდა გემზე ყოფნა...

ამ სიტყვებს ფალიკო დიდი ხანი ელოდა, რად- გან დარწმუნებული იყო — მარტო არ დასტოვებდნენ.

ორივენი გემიდან გადმოვიდნენ და ერთი ლამა- ზი შენობისაკენ ეტლით გაემგზავრნენ.

კიბეებზე ავიდნენ. აქ იყო საზღვაო სამმარ- თველო.

— ამ ბავშმა გემი ხანძარს გადაარჩინა, — ეუბნებოდა კაპიტანი ყველას, ვისაც კი ფალიკოს აცნობდა. ისინიც ცნობისმოყვარეობით უცქერდნენ და სხვადასხვა შეკითხვებს აძლეოდნენ.

ბოლოს ერთ ლამაზად მოწყობილ ოთახში შე- ვიდნენ და მარტონი ჩამოსხდნენ.

— აბა, ახლა მითხარი, ფალიკო, შინ დაბრუ- ნება არ გინდა?..

— შინ?.. წაილულულა ფალიკომ.

— ხო, შინ, მე გავიგე, რომ შენ გამოიქეცი სახლიდან ზღვაზე სამოგზაუროდ, მაგრამ შენ იმდე- ნად პატარა ხარ, რომ შენი გაშვება მარტო არ შეი- ძლება. თანაც დედ-მამა დაგეძებს... განა არ გინდა ნახო დედაშენი?..

— დედაჩემი? წაიბუტბუტა და ჩაფიქრდა. მერე მოიგონა მთლიანად თავისი სახლი და წარმოიდგინა დედა ცრემლიანი თვალით, მამა შეწუხებული სა- ხით. გაახსენდა თავისი მშობლები, რომელთაც ისე ძლიერ უყვარდათ და გაეღვიძა სურვილი უკან და- ბრუნებისა...

— დიხ, მინდა შინ წასვლა. აქ არც ნაცნო- ბებერ მყავს და არც ამხანაგები.

— მაშ კარგი... მე უკვე ვაცნობე მამაშენს, რომ თვითონ ჩამოვიდეს და წაგიყვანოს.

მამის გახსენებაზე შეკრთა, რალაც უნდა წარ- მოეთქვა, მაგრამ ისევე კაპიტანმა დაამშვიდა.

— ნუ გეშინია, მამა არ გაგიწყრება. შენ ისე- თი კეთილი საქმე ჰქენი, რომ ყველაფერი გეპატიება.





აი, ისწავლე და როდესაც გაიზრდები, კარგი მეზღვაური გამოხვალ..

— სად უნდა ვისწავლო?..

— საზღვაო სასწავლებელში, დაასრულებ და სახელოვანი მეზღვაური შეიქნები. მაშინ შემოივლი ზღვებს, ოკეანეებს, სხვადასხვა ქვეყნებს..

ეს დარიგება ფალიკოს ძლიერ მოეწონა. გადასწყვიტა კიდევ, რომ გაიზდებოდა, შეესწავლა საზღვაო საქმე, გამხდარიყო ნამდვილი მეზღვაური.

მთელი ღღე კაპიტანთან გაატარა, ისიც დიდის მზრუნველობით ეკიდებოდა მას და მეორე ღღეს კი

მამაც ჩამოუვიდა.

ფალიკო დარცხენილი იდგა და ხედავდა, თუ როგორ უახლოვდებოდა მას მამა.

— თქვენი შვილი ნამდვილი გმირია მე თქვენ გთხოვთ, რომ საყვედური არ უთხრათ. მან დაწვას გადაარჩინა გემი, — მოახლოვებისთანავე მიმართა კაპიტანმა და ხელიც ჩამოართვა..

გახარებულმა მამამ სიამოვნებით მოისმინა მომხდარის შესახებ და გადაჰკოცნა რამდენიმე ღღის უნახავი პატარა გმირი.

ე. პოლუმორდვინოვი.

### ქალაქი ზაჰესი.

(სურათებში)

მზე უკვე ავარაყებდა მუხათგვერდის მთებს, ბავშვების ექსკურსია რომ მიემართებოდა საქართველოს სამხედრო შარავზაზე.

სამო დილას სიო სისინით უვარცხნიდა ციურ ლურჯ ქაჩორს და დროშა სასიამოდ იბერტყდა ყურებს მის ანც ფრთებზე..

ისმოდა დაფდაფის ხმაური და ზახილი:

— ერთი! ორი! სამი!..

მოხვევთა გაბმულ კავკასიურ ურმებს მარჯვედ უხვევდა გვერდს მსუბუქი ავტომობილი მზით დამწვარი მგზავრებით და უკან სტოვებდა მტვრის კორიანტელს..

აჰა, ორსათულიანი მუხათგვერდის ხიდიც, ზედ მატარებლით და დაბლა ურმით..

ქვეშ მტკვარი რალაცა გულამღვრეული მიდუნებს და, რა ნაპირზე ლოდს ეჯახება, ბრაზმორეული ოთურმას გადადის და განაგრძობს გზას ჩვეულებრივი მარიფათით და უკან სტოვებს მარამაზა ზვირთების ახეულ ლეჩაქს.

გალმა ზაჰესის მიდამოები მომავალ საუკუნეებს იგრებს და მკლავზე თავისი დიადი აღმშენებლობით, რომლის ახალ რუკაზეც ზოდებს ავლებდენ პაწია მატარებლები, გველებივით მისრიალობდენ ფერდობზე, სიცხით ბულანადენ ფლატეზე, და აკივლებულ ორთქლმავლებს მთები უპით აძლედა ბანს..

რამდენიმე ათასეული მუშა იქნევს ღონიერ მკლავებს და წერაქვი ნაპერწკლებს აკვესებს ლოდებს..

ესენი თითქმის ყველა ახლომახლო ქართლის სოფლებია, რომლებიც მთელ კვირას მუშაობენ აქ და შაფათ სალამოს თავთავიანთი ოჯახებისკენ მიეშურებიან, რომ საყვარელი სოფლის ნახვის შემდეგ კვლავ დაბრუნდენ ორშაბათს და შეუდგენ ბრძოლას არსებობისთვის..

აგერ მუშები, დამკლავებულნი, მანქანებთან, ჩაქუჩის აღერით..

პირდაღებული ბრუნაროები ელიან მტკვრის მოვარდნას, როგორც წისქვილის ბორბლის ღარები, მრისხანედ აზიდულ ელექტრო-სადგურის საძირკველში..

— ის რა არის?

ეკითხება პატარა გოგი მასწავლებელს, რა ყველა ეს დათვალიერეს მუშა-ზედამხედველის ახსნით, და გაისმა აფეთქების ხმა..

— იქ კლდეებს აფეთქებენ, — მიუგო მუშამ, რა მასწავლებელი თავის მხრით შეეკითხა მას.

რა გაიხედეს, ქვის ლოდები, ჰაერში ანასროლნი, უკვე ძირს ეცემოდენ და ნელა იფანტებოდა ბოლის ჯანყი..

პატარა თინიკოს შეეშინდა, მასწავლებელს მიეკრა..

— ნუ გეშინია, ჩემო გოგონი, ის შორსაა, — დაამშვიდა მან.

— რად ანგრევენ? — იკითხა შალიკომ.

— რომ ააშენონ ქალაქი ზაჰესი, რომელიც იქნება ღამის მზე, — ღიმილით მიუგო მუშამ მოკლედ..




მასწავლებელმა განმარტა მუშის ნათქვამი და ბავშვებს აუხსნა ზაჰესის მნიშვნელობა.

ქვემო ნაწილის დათვალიერების შემდეგ გაუდგენ გზას სათავისკენ, ზემო უბანში, იქ, სადაც არაგვი გიფი დარტყმით მარცხენა გვერდს უდრეს მტკვარს, მაგრამ მტკვრის ნაგარი მუშტით უკუქცეული გაბუტული მოსდევს მხარდამხარ და აშკარად განიჩხევა თავისი მღვრიე ფერით ზაჰესის ნაგუბარამდე, სადაც უკვე უბეში ეკვრის მტკვარს, ვით პაწია შვილი ღღის ძუძუებს..








ზემრ ავჭალის კიდრ-ელექტრონის სადგური







1. ჰიდრო-სადგურის და განმანაწილებელი სანმარტვლის შენობები, 2. მცხეთის ახალი ხიდი, რომელსაც ახლა აკეთებენ, 3. ჰიდრო-ელექტრონის სადგურის შენობა, 4. მთავარი სადგურის სახე ქვედა მხრიდან, 5. ვიალუკი, მწვევი მილები და ჰიდრო-ელექტრონის სადგურის შენობა. 6. ჰიდრო-ელექტრონის სადგურის გენერატორი.



აპყვენ დულაბით ნაშენ არხს, თითქმის სამი ვერსის მანძილზე...

მალიმალ აუქროლ-ჩაუქროლებდენ პატარა „კუ-კუშკები“ გამომშული ღია რონოდებით, სხვადასხვა გზაზე, თითქოს კურდღლები გამოხტენ ბუჩქებიდანო მონადირის წინ გამოთამაშებული მეძებრის შიშით...

პატარა სადგურები, შენობები; მუშების ბინები; მუშაობა სდელს...

— აგერ, შეხედეთ, როგორ აფეთქებენ ამ ათას-წლობით ხელუხლებ კლდეებს!

გახედა მასწავლებელმა მოწაფენი მარჯვნივ, სადაც ერთ მუშას ხელში ეჭირა ელექტრომბურლი, მეორე კი წერაქვით სთხრიდა, რომ ბურღი მიეშვათ, მესამეს დინამიტი ეჭირა ჩასადებად...

— იარეთ, იარეთ, თორემ ჩქარა ავარდება ეს გორაკი ჰაერში, — შეეხუმრა ბავშვებს ერთი მათგანი, რა ისინი შესდგენ და ყურება უწყეს.

— წავიდეთ!

სთქვა მასწავლებელმა, რომელიც მუშა-ზედა-მხედველის ახსნას ისმენდა და შემდეგ თავის მხრით უნმარტავდა მათ.

გზაზე დაათვალიერეს სხვადასხვა ბურჯები, ხიდები, არხები, მუშათა საცხოვრებელი ბინები, სასადილოები, სამკითხველო და სხვა...

დილის საამო სიო, სანეტაროდ რომ უღიტი-ნებდა ბავშვებს, ჩაღვა და მზეკი ბუღს აღენდა მიდამოს...

გზაზე ბუჩქებში დაკრეფილი მინდვრის ყვავი-ლები ბევრს ჰქონდა კონად, რაითაც აჩრდილავდენ ქოლგასავით.

— აი, საყვარელო ბავშებო, ზაპესი, რომელიც მშრომელთა ხელისუფლების დროსაშენდა; ის რამოდენიმე ათეული ათასი ცხენის ძალის შეტევით გაანათებს საქართველოს დედაქალაქს თავისი ელექტრო-დენით, — ღიმილით ეუბნებოდა ზედამხედველი მუშა მზით დამწვარ ბავშვებს.

ისინი გულდასმით უსმენდენ, დიდს ინტერესს იჩენდენ ყველაფერში და შეკითხვებსაც აღიევდენ.

— სულ რამდენიმე წელში, ქალაქად ქცეული ზაპესი შეუერთდება ტფილისს, მტკვრის ორივე მხარეზე; აქამდის გამოიწვევს დედაქალაქი, გამოვტრამვაი, დამშენდება ეს მიდამოები, აღორძინდება ყველაფერი, აყვავდება ჩვენი ქვეყანა, გაიფურჩქნება მომავალი ცხოვრება; ქალაქი თავის მხრით გაშლის ფრთებს მტკვრის და არაგვის ხეობებზე, ქარსანის, წიწამურის, მუხათგვერდის მთებზე, და იქ, სადაც ოდესღაც იყო ქალაქები: წიწამური, მცხეთა და არმაზი თავისი მრისხანე კერპით, — აი ამ ადგილებზე იქნება ქალაქი ზაპესი, — სთქვა მასწავლებელმა.

ამასობაში უკვე ზაპესის ზემო უბანში იყვნენ, სადაც მაღალი კლდით გადმოჰყურებს, ორინის მუღეს-სავით, უძველესი მონასტერი, და აწ უკვე ზაპესის მუზეი, ჯვრის მონასტერი, რომელზედაც მრავალი ლეგენდაა ხალხში დარჩენილი...

ის უკვე შეაკეთეს და, ალბად, აქ დაიდებს ბინას ის ისტორიული ნივთები, რაიც ზაპესის მიდამოებში იქნა აღმოჩენილი გათხრების დროს, როგორცაა ძველი საფლავების განძეულობა, იარაღები, ფულები, ჭურჭლეულობა, თავის ქალა, ძვლები და სხვა...

ბავშვებმა დაათვალიერეს აქაური აღმშენებლო-ბაც, კოოპერატივი, ბინები, აბანო, მანქანები და კლუბი, რომლის შესავლის თავზეც ნელა ირხეოდა წითელი დროშა; შიგ კედლებზე მრავალი წარწერა, სურათები და სცენა; აქ შეისვენეს, დანაყრდენ, ლექსები წარმოხატქვეს და იმღერეს, რითაც ასიამოვნეს დამსწრენი, რომლებიც მოვიდნენ, ახლო-მახლო მყოფნი...

— სამუშაო დღე რომ არ იყოს, ბევრნი დაესწრებოდნენ, — უთხრა მუშამ მასწავლებელს.

დაათვალიერეს ის ადგილი, სათავე, სადაც მტკვარი თავის ისტორიულ კალაპოტს აუქციეს ზღუდეების ამოშენებით და ორ ვიწრო ყელში მოაქციეს, სადაც ეხეთქება ველურ ღრიალით, ჰლამობს განგრევას, გაგანიერებას.

— აქ როგორ ამოვა მტკვარი, რომ ვერ ამოსწვდება?

შეეკითხა მასწავლებელი, როდესაც არხის ბეტონით ამოლესილი სათავე დაათვალიერეს.

— აგერ, ა-ის ორი რკინის დაფა, რომელიც მექანიკურად აიწვევ-დაიწვევა, სადაც მტკვარი ორ ტოტად მიშხუის, ჩამოიწვევა, დაგუბდება მტკვარი და თითქმის რკინის გზის ლიანდაგს აუწვევს, მაშინ კი, როგორც ხედავთ, ამოვა აქამდე და დაეშვება ახალი გზით...

— მაშინ ხომ დაიფარება საქართველოს სამხედრო გზა?

— დაიფარება, რკინის გზის იქითა მხრით გავა ახალი გზა; მცხეთის წინა კალთებსაც დაჰფარავს, გვონებ, ძეგვამდე შევუბდეს მტკვარი და ბებრის ციხის ორ ვერსს ზემოთაც კი არაგვი...

— მცხეთის წყლით დაფარული მოსახლეობა?

— აქეთ გადმოსახლდება, ჯვრის მონასტრის კალთებზე, თითქმის წიწამურამდე. მიზომილი აქეთ ადგილები; არაგვზე გაიდება რკინის ხიდი, აყვავდება ახალი მცხეთა, ახალი სახით...

— წყალდიდობის დროს ხომ წაილიეკება ეს მიდამოები?



— არა, მაშინ აიწევა ის დაფები, ანუ კარგები, და მტკვარი თავისი ზედმეტი დენით დაქანდება ძველი გზით...

ეს ადგილი რომ შეგუბდება, ტბად იქცევა, გაჩაღდება ნაოსნობა, აიგება აბანოები, როგორც წყლის, ისე მზის აბაზანებით, აშენდება აგარაკები, დასასვენებელი სახლები, გაშენდება ბაღები, ვენახები, მთები დაიქსელება ელექტრონებით, რომლებიც ღამე, ტყეებში ციკინათელებს მოაგონებს შემხედავს, და მაშინ ხომ ამ მიდამოების ნახვას ვერარა აჯობებს, ზღაპრული კუთხე ასტორცნის სილამაზეს თავისი მშვენიერი კალთებით...

მზე გადისარა მთებს იქით, ცოტა აგრილდა, ჯვრის მონასტერს მიიქცენ, საიდანაც ხელის გულივით მოსჩანს ზაჰესი, მცხეთა, არაგვის და მტკვრის ხეობები კარგა მანძილზე, ძველი ციხე-კოშკები, საყდრები, ნიშები, შარაგზა, კავკასიონი და მრავალი სოფელი; თვალს არ უნდა მოშორება ამ ლამაზი არემარის, რომელსაც ფირუზბეჭდიანი ცის ლაქვარდი ლურჯ სარკესავით დაჰყურებს.

დაათვალიერეს აქაურობაც და სიმღერით, სიცილით და ხუმრობით დაეშვენ დაბლა, მცხეთისკენ; განვლეს არაგვზე გადებული დროებითი ხიდი, დაათვალიერეს მცხეთის ისტორიული ადგილები, გასწიეს სადგურისკენ, ნახეს მტკვრის მარცხენა ნაპირზე ობლად მიტოვებული სამარე არსენა ოძელაშვილისა და პომპეის ხიდს მიადგენ...

— მტკვარი რომ შეგუბდება, ამ ხიდსაც დაჰფარავს, ამას დაანგრევენ, დაბლაა; სამაგიეროდ, აგერ, სადგურის პირდაპირ სდებენ ხიდს, მაღლა, — მიუგო მცხეთელმა გლეხმა, რომელსაც შეხვდენ და მასწავლებელი შეეკითხა ახალი ხიდის აშენებაზე, ახლა რომელიც სწარმოებდა...

— რადა ჰქვიან, მასწავლებლო, ამას პომპეის ხიდი? — შეეკითხა ქეთო.

— ხალხში ასეა დარჩენილი გარდმოცემა, რომ თითქოს ამაზე გაეცდოს, თუ აეშენებინოს, ცნობილია...

რომელიც მხედართმთავარს, პომპეუსს, რომელსაც პონტის ზღვით მოადგა კოლხეთს, გადმოვიდა ხის მთას და დაჰყვა მტკვრის ნაპირებს აზიაში შესასევადო... ქართველები ცოტანი იყვნენ და ვერ შეებმებოდნენ. ძლევამოსილ ლაშქარს ყველგან პურმარილით შეხვედრიან; მას ხელი არ ეხლო, გზა განეგრძო და, როგორც ხალხის, ისე ამ მხრის სილამაზით მოხიბლულ პომპეუსს თითქოს წამოეძახოს:

— თითქოს განგებ აზიდულან, ღმერთების მიერ, ეს ტიტანიური მთები, რათა თავის წიაღში დაიფარონ ეს კეთილშობილი, ლამაზი და რაინდი ერიო...

ამ საუბრით უკვე სადგურს მიადგენ. უნდოდან დათ დასასვენებელი სახლების დათვალიერებაც, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ტფილისისკენ მომავალი მატარებელი კივილით შემოსრიალდა. მასწავლებელი დაფაცურდა, უკვე წინაღვე თადარიგის გაწვევით ბილეთები მზად ჰქონდა, ბავშვები ბორჯომის სააგარაკო ღია რონოდებში მოათავსა...

მატარებელი გასრიალდა.

ბავშვებმა სიმღერა შემოსძახეს წყრიალა ხმით...

მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებას.

— ზაჰესი!

შეჰყვირა ერთმა მათგანმა, რა მატარებელი გაუხწორდა ელექტრონით გაჩირალდებულ მტკვრის მარცხენა ნაპირს...


— ო, რა კარგია ზაჰესი ღამით!

— თითქოს ზღვააო, რომელშიაც სჩანს ვარსკვლავივით მოკირწყლული ცა.

რომელიდაც ბრმა მეზონგურე კი ათამაშებდა თითებს და ჩახრინწიანებული ხმით დამღეროდა თავისივე შეთხზულ ლექსს:

— თუმცა უსინათლო ვარ, ზაჰესისა მხარეო, მაგრამ მაინც ვხედავ, შენ ყველა გაახარეო...

სეზმან.





# ჰანსი. მისი მამა და მისი ზღაპრები.

ბავშვული  
ლიტერატურა


(დასასრული).

როგორ უნდადათ ბავშვებს თავის ჩამოხრჩობა.

უკვე თენდებოდა. მახლობლად მალალი შენობები და საკვამლე მილები მოსჩანდნენ. ეს ქარხანა იყო.

ბავშვები შეჩერდნენ მალალი ხის ძირში და დაწვენი თივაში. ისინი გაფითრებულები იყვნენ. შიმშილისა და დაღლილობის ჭამო-თვალეები ღრმად ჩასცვივნოდათ.

ისინი დიდხანს იწვენი ბალახებში და ჩუმად იყვნენ. პირველად ჰანსმა დაილაპარაკა. მისი ხმა მეტად წყნარი და სუსტი იყო.



ქურდების წინამძღოლი.

— სად უნდა წავიდეთ ახლა? — სთქვა ჰანსმა. ქურდობა მე არ შემიძლია, არც მინდა! სამუშაოს ბურჟუები ჩვენ არ მოგვცემენ. მაშ უნდა დავიხოცოთ?..

კარლიკომ ცოტა ფიქრის შემდეგ უპასუხა:

— ჰო, არსად წასვლა არ შეიძლება, ქურდობას კი ჩვენ ვერ შევძლებთ...

— მოდი თავი ჩამოვიხრჩოთ, — სთქვა უცებ ჰანსმა, — უკეთესია მოვკვდეთ, კარლიკო! შენ ხომ სთქვი, ერთმა ქურდმა კიდევ ჩამოიხრჩო თავიო?

კარლიკომ შეხედა ხის ტოტს და თავი გადააქნია, ის კიდევ ყოყმანობდა, მაგრამ ჰანსმა წამოაყენა და უთხრა:

— შენცა გაქვს ქამარი და მეც, ქამრებით ჩამოვიხრჩოთ; აი ამ, — ტოტზე ჩამოვიხრჩოთ. და ჰანსმა უკვე შეიძრო თავისი ქამარი.

— მხოლოდ როგორ გავაკეთო მარყუევი, ეს არ ვიცი. შენ ხომ გიყურებია, კარლიკო, როგორ იხრჩობენ თავს, შენ გამოიკეთე!

— გაგიკეთებ! — უთხრა კარლიკომ და გაამზადა ორივე ქამარი.

უცბად ბავშვებს მახლობლად სიმღერა ჩამოესმათ:

„მშვიდობით, დედი, მივეშურები, სადაც ცხოვრება ძნელია, ძნელი!“...

ამას იმღეროდა მუშა, რომელიც გამოჩნდა ბუჩქებიდან.

ის მიდიოდა ქარხანაში, იღლიაში მიჰქანდა რაღაც გამოკრული და მღეროდა.

დაინახა კარლიკო და ჰანსი თუ არა, მუშა მივიდა მათთან და მხიარულად უთხრა:

— რას შვრებით თქვენ აქ? ჩიტებს ხომ არ იჭერთ?

— დიახ, ჩიტებს, — უპასუხა კარლიკომ.

მაგრამ მუშამ დაინახა მარყუევიანი ქამრები და განცვიფრებულს ხელიდან გაუვარდა გახვეული ნივთები.

— რას სჩადიხართ? — თავის ჩამოხრჩობას ხომ არ აპირებთ?

ბავშვებს ტირილი წასკდათ. სტიროდნენ ისინი, როგორც შეუძლიათ იტირონ მშვიერმა, დაღლილმა, ყველას მიერ მიტოვებულმა უმწეო ბავშვებმა. ისინი სტიროდნენ კიდევ იმიტომაც, რომ მუშის ხმაში, შებრალება და ალერსი იყო ჩაქსოვილი, ტკბილი სიტყვა კი მათ დიდი ხანია აღარაღვისგან გაუგონიათ.

მუშამ მოჰკიდა მათ ხელი, დასვა ბალახზე და მოაყოლა, რაც მათ გადახდათ.

მოისმინა თუ არა ყველაფერი, გახსნა გახვეული ნივთები და ამოიღო იქიდან ყველი და პური.

როდესაც ჰანსი და კარლიკო საკმაოდ დანაყრდნენ, მუშამ მათ უთხრა:

— თქვე სულელებო! რატომ არ იცით, რომ მუშები თქვენ დახმარებას აღმოგიჩენენ?



გადასწყვიტეს თავის ჩამოხრჩობა.

რატომ არ მიდით მათთან და არ უამბეთ ყოველივე?

— მე უკვე ვიყავი! — სთქვა კარლიკომ, მხოლოდ „მწვანემ“ ყველაფერი წამართვა, რაც მუშებმა მომცეს.

— ბრიყვები! ნამდვილი ბრიყვები! — თავის გაქნევით ამბობდა მუშა და ხსნიდა ქამრებს.





— ახლა წამოდით ქარხანაში, თქვენ უნდა რემედასს გადაგცეთ.

— ვინ არის ეს რემედასი?

— მალე გაიგებთ...

**ძია რემედასი.**

მუშამ უთხრა ბავშვებს, რომ მათ დაეცადათ მისთვის, თვითონ კი ფაბრიკაში შევიდა. ბავშვები გულის ფანჯკალით ელოდნენ მუშასა და ძია რემედასს.

— იქნება ძია რემედასი სხვაგან არის? მაგრამ ამ დროს გამოჩნდა მუშა. მასთან ერთად მოდიოდა ვიღაც მოხუცი, გათითხნილობილიანი კაცი.

— აი ესენიცი! — სთქვა ახალგაზრდა მუშამ. მოხუცმა გაღიმებული სახით გადახედა ბავშვებს და დაუწყა მათ გამოკითხვა, თუ როდის და რათ დაეხოცათ მამები, სად არის მოთავსებული კარლიკოს დედა.

ბავშვებმა ყველაფერი უამბეს და დაიწყეს ტირილი.

მოხუცმა სთქვა:

— აი რა, ბავშვებო! ცხადია, თქვენ მძამე მდგომარეობაში იმყოფებით და თუ სახრჩობელამდის კი მივიდა თქვენი საქმე, მაშ შევლა და მფარველობა გჭირდებათ. თქვენი მამები იბრძოდნენ მუშების საკეთილდღეოდ. მაშასადამე, თქვენ მუშები არ დაგივიწყებენ. მუშებმა თქვენისთანა დაღუპული რევოლუციონერების შვილებისათვის ააშენეს ქალაქ ელგერსბურგში სახლი. თქვენც იქ გაგზავნით, დაისვენეთ იქ, მოლონიერდით და შემდეგ ქარხანაშიც მოგაწყობთ.

**ჰანსი და კარლიკო სწერენ წერილს რუს ბავშვებს.**

აი უკვე მეოთხე კვირაა, რაც კარლიკო და ჰანსი ელგერსბურგში ცხოვრობენ, რემედასის მიერ აგებულ დიდ სახლში. რუსეთის და გერმანიის მუშებმა შესწირეს რემედასს თითო ოროლა კაპიკი, რომლითაც მათ დიდი საბავშო სახლი ააგეს.

ჰანსი და კარლიკო უკვე გამობრუნდნენ და ახლა იმაზე ოცნებობენ, თუ როგორ შევიდნენ ქარხანაში და გახდნენ მუშები.

როდესაც გაიგეს, რომ რუსეთის მუშები და

გლეხები ასე თავგამოდებით ეხმარებიან რევოლუციონერებს, რომლებიც ათასობით ჰყრიან ბურჟუაზიული ქვეყნების საპრობილევებში, მათ დასწერეს წერილი, რომელშიაც ისინი აღწერენ თავის წარსულ და ახლანდელ ცხოვრებას.

რემედასის მიერ აგებული საბავშო სახლის შესახებ ისინი ასე იწერებიან:

„მადლობელი ვართ რუსეთის მუშების, გლეხების და ბავშვების, რომელნიც ზრუნავენ რევოლუციონერებისა და მათი ბავშვებისათვის. რემედასის სახლში ჩვენ ბევრი ვართ. ბავშვები მოდიან აქ, გამოჯანმრთელდებიან, სწავლობენ წერა-კითხვასა და ხელობას, შემდეგ შუაულობენ სამუშაოს და დამოუკიდებლად ცხოვრობენ. ჩვენთან აქ ცხოვრობენ ისეთი ბავშვები, რომელთაც ან მამა მოუკლეს რევოლუციონერობისათვის, ან დედა, ან ისეთები, რომლის მშობლები საპრობილევში სხედან.

გერმანიაში სულ სხვა მდგომარეობაა, ვიდრე მანდ. აქ კაპიტალისტები ჯერ კიდევ თავისუფლად დაფარფაშობენ, ჯერ კიდევ ვერ ავფერთხეთ ისინი და დასცინიან, აწამებენ მუშებს. რომ რემედასს არ ეშველა, ჩვენ დავიღუპებოდით. ვინ იცის, რამდენი ბავშია რემედასის მიერ მოწყობილ სახლებში. ჩვენ მებრძოლი კომუნისტები ვიქნებით, მთელ ჩვენს სიცოცხლეს შევწირავთ კომუნისტების გამარჯვების საქმეს.

ჩვენ აქ ვსწავლობთ სხვადასხვა ხელობას, წერა-კითხვას.

გმადლობთ თქვენ, რევოლუციის შვილებო. არასოდეს არ დავივიწყებთ თქვენს ამაგს. ჩვენ ახლა მხოლოდ იმას ვცდილობთ, რომ თქვენ დაგიახლოვდეთ. ჩვენ აქ ბევრს რამესა ვსწავლობთ და როდესაც ჩვენში დადგება მჩაგვრელ კაპიტალისტთა მოსპობის ეამი და ამოაშუქებს თავისუფლების მზე, მაშინ ჩვენც თქვენთან ერთად შევედგებით იმ დიდი ქვეყნის შენებას, რომლისათვისაც იბრძოდნენ ჩვენი მამები და რომლის შესახებაც გვასწავლიდნენ ჩვენ პროლეტარიატის დიდი ბელადები.

თქვენც მოგვწერეთ, ამხანაგებო, თქვენი ამბავი ჩვენ ძალიან გვინტერესებს, თუ რას აკეთებთ თქვენ თავისუფლების ქვეყანაში“.

შეუღრეკელი კომუნისტები:

ჰანს ფრიდმანი და კარლ ოტო.





# როგორ უნდა იახაოდეს პიონერი ოჯახი.

ერთნაწილი  
ბიზუროთიქა

თანამედროვე ოჯახი ჯერ კიდევ მძლავრადაა შებოჭვილი ძველი ზნე-ჩვეულებებით, ძველი ყოფაცხოვრებით. ყოფაცხოვრება ადამიანთა ურთიერთობის ისეთი ფორმაა, რომელიც ნელის ნაბიჯით იცვლება. არც რევოლუციონური ბრძოლის მსვლელობაში არ ხდება ყოფაცხოვრების ერთი ხელის მოსმით შეცვლა.

რასაკვირველია, თანამედროვე ოჯახსა და რევოლუციის წინა ხანის ოჯახს შორის დიდი განსხვავებაა; თანამედროვე ოჯახი ნაწილობრივ განახლების გზაზეა დამდგარი, მაგრამ მასში „ძველის“ ნაშთიც ბევრია.

თანამედროვე ოჯახის ჩამორჩენილობის წინააღმდეგ მებრძოლი, მასში ახალი ყოფაცხოვრების შემტანი არის ჩვენი ახალი თაობა, რომელიც ახალ შეხედულებების გავლენაში იმყოფება და საზოგადოებრივი ურთიერთობის ახალი ფორმების შექმნისათვის იბრძვის.

ჩვენს ოჯახში ახალი ყოფაცხოვრების შეტანაში მთავარ როლს თამაშობს პიონერთა მოძრაობა, ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა.

ამიტომ, როდესაც ჩვენს წინ სდგას პიონერ-მუშაობის ამოცანები ოჯახში ძველი ყოფაცხოვრების ახალით შეცვლის ჩარჩოებში, მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ურთიერთობას, რომელიც უნდა დამყარდეს ოჯახსა და პიონერებს შორის.

დღემდე ამ დარგში ბევრ შეუსაბამ, უხეშ მოვლენას აქვს ადგილი: პიონერი ოჯახში აწარმოებს ბრძოლას შეუფერებელი სახით და იწვევს დედ-მამის და საერთოდ მთელი ოჯახის შემადგენლობის გულისწყრომას. ხშირია შემთხვევები, როდესაც პიონერი ემუქრება დედ-მამას ოჯახიდან წასვლას. ასეთი უთანხმოება ძლიერ ცუდ გავლენას ახდენს ოჯახისა და პიონერთა ურთიერთობაზე.

განა საჭიროა, პიონერი წავიდეს ოჯახიდან? რასაკვირველია, არა.

კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ პიონერი საკმელ-სასმელს, განათებას, სიტბოს, ტანსაცმელს, ფენსაცმელს და სხვა რამეებს ოჯახიდან ღებულობს. ამიტომ, პიონერი არათუ არ უნდა გაექცეს ოჯახს, პირიქით, უნდა დაუკავშირდეს მას და აწარმოოს ის საოჯახო მუშაობა, რომელიც მის ძალ-ღონეს შეეფერება, რომლის პირნათლად შესრულებასაც ის შესძლებს.

პიონერი უნდა ეხმარებოდეს ოჯახს და უმსუბუქებდეს მშობლებს საოჯახო სამუშაოებს. პიონერს შეუძლია გააკეთოს ეს თავისი კოლექტივის საერთო დახმარებით.

კოლექტივის საბჭომ და წინამძღოლმა უნდა განუმარტონ პიონერებს, თუ რა მიზნებს ისახავს პიონერ-მუშაობა ოჯახში.


პიონერი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ ის იყოს ოჯახში მოწინავე ელემენტი, რომელიც სახავს სწორ კომუნისტურ გზას ცხოვრებაში.

როდესაც ის დაბრუნდება კოლექტივიდან ოჯახში, მას უნდა ახსოვდეს, რომ აქაც მისთვის, როგორც პიონერისათვის, მოიძებნება სამუშაო. პიონერი ეხმარება დედს თავის საოჯახო მუშაობაში: მოაქვს შეშა, წყალი, ასუფთავებს ოთახებს და ამრიგად უმსუბუქებს შრომას დედს, რომელსაც მრავალი სხვა საზრუნავი აქვს.

აგრეთვე პიონერი ოჯახში სისუფთავის დაცვა-

ში უნდა იყოს მავალითის მიმცემი: სადილის წინ და შემდეგ იგი იბანს ხელს და სხვებისგანაც მოითხოვს ამას; ასევე იქცევა ის დილით და საღამოთი. საერთოდ, იგი უნდა აწარმოებდეს აგიტაციას ოჯახში სისუფთავის დასაცავად.

პიონერმა უნდა იზრუნოს თავისი უმცროსი და-ძმების აღზრდაზე, მათ სკოლაში მიცემაზე, უნდა



ამხ. ფელიქს ძეგუნიანი

ძველი რევოლუციონერი: ამხ. ლენინის თანამებრძოლი. ოქტომბრის რევოლუციის ერთი ხელმძღვანელთაგანი, უმაღლესი სამეურნეო საბჭოს თავჯდომარე, პოლიტიკურ სამართველოს უფროსი. ბავშვების დიდი მეგობარი და მზრუნველი გარდაიცვალა ამ წლის აგვისტოში.



ეთამაშოს იმათ თავისუფალ დროს, წაიყენოს პიონერთა კლუბში.

პიონერმა უნდა იზრუნოს აგრეთვე ოჯახში კედლების რევოლუციონერთა და საზოგადო მოღვაწეთა სურათებით მორთვაზე, რევოლუციონური დღესასწაულების დროს ის უნდა ეცადოს მისცეს ოჯახს სადღესასწაულო სახე.

საერთოდ, პიონერი უნდა ეცადოს ისარგებლოს ყოველი მომენტით, როდესაც ისვენებს ან სადილობს, რომ დედ-მამას და ოჯახის დანარჩენ წევრებს გააცნოს ახალი ამბები და ცნობები, რაც მან გაიგო გაზეთებიდან, წიგნებიდან და საუბრე-

ბიდან.

ასეთია საზოგადოდ ოჯახში პიონერის მუშაობა. საერთოდ მუშაობას სხვადასხვა სახე ექნება იმ პირობების მიხედვით, რომელშიაც ყოველ ცალკე შემთხვევაში იმყოფება ესა თუ ის ოჯახი.

პიონერსა და ოჯახს შორის სწორი ურთიერთობის დამყარება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პიონერი შეიგნებს თავის საოჯახო ამოცანებს და თავისი შრომით და აქტივობით დაიმსახურებს მთელი ოჯახის სიყვარულს არა მარტო როგორც ოჯახის წევრი, არამედ როგორც პიონერიც.

შანი.

### ჩვენი ქვაკუთხედი.

თქვენ ხომ ადამიანის ხორცის მჭამელები ხართ?

(წერილი ინგლისიდან)

მტკრიან ფართო გზაზე რალაც უცნაური პროცესია მიმართებოდა. მისი მონაწილენი იყვნენ. გაფიცული სამთამადნო მუშების შვილები, რომლებიც მიდიოდნენ ქალაქ გრიფისტატში ულუფების სათხოვნელად.

გუშინ ქალაქის თავმა თვითმართველობის წევრთა თანადასწრებით მემალაროეთა ცოლებს გამოუცხადა, რომ ისინი უკანასკნელად დებულობენ დახმარებას.



ინგლისელ გაფიცულ მემალაროელთა შვილები დემონსტრაციაზე.

„იმ მუქთახორების ბავშვებს, რომლებმაც სამი თვეა, რაც სამუშაო მიატოვეს, ჩვენ არ ვარჩენთ“, — ბრძანა ქალაქის თავმა.

მუშების ცოლებმა მოინდომეს მისი ცემა, მაგრამ პოლიციამ იხსნა ქალაქის თავი.

დღეს კი, კვირა დღით, ქალაქის სხვადასხვა რაიონებიდან მოდიან ბავშვები პურის სათხოვნელად.

„ჩვენ არ გვინდა შიმშილით დავიხაროთ“, — სწერია მათ პლაკატზე.

როდესაც ბავშვები ქალაქში შევიდნენ, ეკლესიაში წირვაც გათავდა. მოქალაქენი შინ ბრუნდებიან და ამ დროს მათ ყურადღებას იპყრობს ბავშვთა ყიჟინა და ხმაურობა.

ბავშვები გაჩერდნენ ქალაქის თვითმართველობის წინ და მოითხოვეს ქალაქის თავი. ისიც მივიდა.

— „ჩვენ არ გვრცხვენია მოვითხოვოთ ლუკმა პური“, — სთქვა 13 წლის ბავშვმა, დემონსტრაციის ხელმძღვანელმა, — თქვენ გსურთ ჩვენი ამოუღებელი შიმშილით? მაშ, აი, მიირთვით ჩემი ხორციც, თქვენ ხომ კაცის ხორცის მჭამელები ხართ?“

მხოლოდ ასეთი გაბედვის და ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს მათ. ქალაქის თვითმართველობა იძულებული გახდა განეხლებია გაფიცულ მემალაროელთა ბავშვებისათვის ულუფის მიცემა.

ლ. უ.

### ჩეხოსლოვაკეთის პიონერთა კონფერენცია.

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ბურჟუაზიული ჩეხოსლოვაკეთის სატახტო ქალაქ პრაგაში შესდგა კომკავშირის მიერ მოწვეული ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის კონფერენცია, რომელმაც შეიმუშავა ბავშვთა კომუგუფების შემდეგი მუშაობის გზები, რათა მომავალში ის გახდეს პროლეტარულ ბავშვთა მებრძოლი და მასიური ორგანიზაცია.

### კაპიტალის პატარა მოწევი.

მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობენ ავსტრიის ბავშვები. მშობელთა უმნიშვნელო ხელფასი აიძულებს ბავშვებსაც — წავიდნენ სამუშაოდ ქარხანა-ფაბრიკებში.

ეხლახან გამოქვეყნდა ცნობები, რომლის მიხედვითაც ბავშვებს უხდებოდა მუშაობა ნესტიან, ბნელ და აუტანელ სარდაფებში 10-12 საათი.

ასეთი მძიმე მუშაობის გამო ჰევრი მათგანი დაავადყოფებულია სხვადასხვა სნეულებით.



# ამერიკაჰავასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფანა.


ქრონიკული  
გიორგიოთქა

დიდი მოედანი... პავილიონები. პავილიონებში და პავილიონების ირგვლივ ათასნაირი მანქანები და იარაღები,— აი რა სანე აქვს ამერიკაჰავასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენას.

აბა, მივიდეთ ერთ-ერთ პავილიონთან და ვნახოთ, რა მანქანებია იქ გამოფენილი.

ვერ გაათრევს და, რომც წაიღოს, დიდ სარგებელს ვერ მოიტანს. ყველას ექნება ნახული გუთანში გაბმული 4—6 და ხშირად ათი წყვილი ხარი. საქონელს კი მოვლა უნდა, ჭმევა და დასვენება.

დაიწყეს ფაქრი, თუ როგორ გაეიაფებიათ მოხვნა და, აი, მოიგონეს ტრაქტორი. ტრაქტორი




პიონერები გამოფენაზე ათვალერებენ ტრაქტორს.

აი, რაღაც უზარმაზარი, ვეშაპისნაირი, უცნაური მანქანა. ავტომობილია? არაა ავტომობილი, ორთქლ-მავალია? არაა ორთქლმავალი— ვეება ურემი, ვეება-თვლებიანი, რაღაც კაკვებით, უკან ერთი კაცის დასაჯდომით. ნეტა რა მანქანაა? ეს ტრაქტორია.

ჰხნავს 6 წყვილ ხარზე უფრო სწრაფად და მიწასაც სასურველ სიღრმეზე აბრუნებს. საკმარისია ადამიანი, რომელიც ტრაქტორს ამუშავებს, დააწვეს სახელურს და საკვეთელი ღრმად ჩაიჭრება მიწაში ან, სურვილისამებრ, მხოლოდ ზედაპირს მოხვნავს. წარმოიდგინეთ ამის შემდეგ, თუ რამდენად უფრო შეღავათიანია ტრაქტორით მოხვნა.

ტრაქტორები სხვადასხვანაირია. გარდა თვლებიანისა, არის მუხლუხოსებურიც. გარშემორტყმული მოძრავი საღტე მოძრაობს მუხლუხოსავით, ტრაქტორი წინ იწევს და მიმაგრებული გუთნით მიწას ჰხნავს. თვლებიანიც და მუხლუხოსებური ტრაქტორებიც ნაირ-ნაირია. გამოფენაზე ჩვენ მუშებს და გლეხებს შეეძლოთ ენახათ მრავალგვარი ტრაქტორი. იქ იყო ამერიკულიც და გერმანულიც, სხვადასხვანაირი, სხვადასხვა სახის.



ხელთ სატარებელი ბოსტანში მომუშავე ტრაქტორი

დიდხანს წვალობდა გლეხი, სანამ სახნისით ჰხნავდა თავის ყანას. ღრმად არ ჰკვეთს მიწას სახნისი და ყოველწლივ კლებულობდა პურის მოსავალი. გლეხი მიხვდა, რომ საჭიროა მიწა ღრმად დაიხნას, გადავიდა გუთნის ხმარებაზე, მაგრამ გუთანს არ ჰყოფნის ერთი ცხენი და ერთი უღელი ხარი,

არის აგრეთვე გერმანული პაწია ტრაქტორი, მანქანა სიმენსის და შუკერტის ფირმის, ბაღების და ბოსტნების მოსახენელად. უბრალო ყუთის მაგვარი, გრძელი სახელურით. მოავლებს ხელს სახელურს კაცი, დააწვება და ძრავი იწყებს მუშაობას, მანქანა მირბის მინდორზე, ჰხნავს და შლის მიწას.

მოატრიალებს სახელურს— მოტრიალდება მანქანაც; მოატრიალებს მეორეს— მანქანა ჰხნავს უფრო ღრმად. პაწია ბავშვსაც კი შეუძლია ასეთი მანქანით



მუშაობა. მოხენით კი მანქანა ერთ დღეში მოხნავს დიდ ბალს ან ბოსტანს.

მინდორი მოხნული და დათესილია, საჭიროა პურის აღება. გამოფენაზე ჩვენ ენახეთ მრავალი სამკელი მანქანა, რომელიც ერთად სჭრის იმდენ თაველს, რამდენსაც ვერ მომკის ვერც ათი კაცი. არის ისეთი სამკელი მანქანები, რომლებიც მომკულ თაველებს აწყობენ და ძნებად ჰკრავენ.

აბა, წარმოიდგინეთ, რამდენად ამსუბუქებს შრომას ასეთი მანქანები?

არის საღეწი და სათესი მანქანებიც. უკანასკნელი მანქანა ჰვანტავს თესლს თანასწორ სიშორეზე ერთი-მეორისაგან, ასეთი სისწორით დათესვას კი ვერ მოახერხებს ადამიანი - მთესველი. მანქანა კი კარგადაც სთესს და სისწრაფით ათეული კაცის მაგიერობას ასრულებს.


აქვე დაინახავდა ადამიანი მრავალ ისეთ მანქანასაც, რომლებიც მერძეობისათვის არის საჭირო. აი, ძროხის საწველი მანქანა—ეწევა ბევრი მწველელის მაგიერობას. ძროხის ძუძუებს უკეთდება ერთგვარი მოწყობილობა, რომელსაც მიმაგრებული აქვს მილები, რეზინის მილებიდან გამოსრუტავენ ჰაერს ელექტრონით და რძე ძუძუებიდან იწველება ცარიელ მილებში და ისხმის ჭურჭელში. სწველენ ძროხებს ელექტრონით.

მოწველეს ძროხა, მოინდომეს რძისაგან კარაქის გაკეთება. ამ შემთხვევაში თქვენ განკარგულდებაშია სეპარატორი—მანქანა, საგანგებოდ მოწყობი-

ვებელი და ღვინისა და რძის ბოთლებში მანქანებიც. უკანასკნელი მანქანა ავსებს დღე-ღამეში 6000 ბოთლს ისე, რომ ერთ წვეთსაც არ დაღვრის.

იყო უაღრესად გაუმჯობესებული მანქანები ხე ტყის ქარხნებისათვის; აბრეშუმის ჭიების გასაშენებლად და პარკის ამოსახვევი, გაუმჯობესებული სკები ფუტკრისათვის და სხვ.

როგორც ხედავთ, ბევრი რამ იყო გამოფენა-



ამერიკული საღეწი მანქანა

ზე ისეთი, რაც შესაძლებლობას აძლევს ადამიანს თავისი ცხოვრება გააუმჯობესოს.

ახლა თქვენთვის, რასაკვირველია, ცხადია, რისთვის იმართება გამოფენა.


ჩვენ გლახს სურს გაეცნოს მანქანებს, რომლებიც შეუძლებულებენ შრომას მინდვრად და სახლში, სურს დახვებულ სახნის-გუთნიდან ტრაქტორ-სამკელზე გადავიდეს.

მან უნდა გაიგოს, როგორი მანქანებია ქვეყნად და რომლები უფრო გამოსადევია მისი ნიადაგისა და პირობებისათვის.

ამავე დროს ფაბრიკანტებს და საბჭოთა სახელმწიფო ქარხნებს სურთ გაყიდონ თავისი საქონელი და ამისათვის ჰგზავნიან მათ გამოფენაზე.

და თუ ამიერკავკასიის გამოფენამ ასე ცხოველად ჩაიარა, ეს ნიშნავს, რომ გლახობაში გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოთხოვნილება, ხოლო დასავლეთის ფაბრიკანტებმა და საბჭოთა მწარმოებლებმა კი ასეთ მოთხოვნილებას ანგარიში გაუწიეს.

ჩვენი სოფელი იზრდება. გამოფენა მისი ზრდის მაჩვენებელია. იქნება არც ისე შორს არის დრო, როდესაც ჩვენი გლეხი აღიჭურვება ყველა უახლესი და გაუმჯობესებული მანქანებით და ცოდნით და თავისი მიწიდან მიიღებს ისეთ მოსავალს პურით, ყურძნით და ხილით, რომელზედაც ახლა ოცნებაც კი არ შეიძლება.



ტრაქტორი თევზებიან ფარცხით აოშებს ნიადაგს


ლი კარაქის შესაღვებად. ერთ ადამიანს შეუძლია ამ მანქანით შედღებოს 50 ვედრო რძე, ხოლო ელექტროს ძრავით კი ასეული ვედროებიც.

იყო ვინახების მსაფოთილი. თინის დასამოშა-



ჩვენი სასოფლო სამეურნეო გამოფენა საინტერესოა სხვა მხრითაც: ის გვაჩვენებს, თუ რა დიდი მუშაობა სწარმოებს სასოფლო მეურნეობის წინ წასაწვევად საქართველოში სამიწათმოქმედო სახ. კომისარიატის მიერ მოწყობილია ტრაქტორისტების კურსები.


ამ გამოფენამ ძალიან დიდი ყურადღება მოიქცია. გლეხთა აუარებელი ექსკურსიები მოდიოდა მის დასათვალიერებლად ამიერკავკასიის ყველა კუთხიდან. ტფილისის მუშები და მოსწავლე ახალგაზრდობა გამოფენის მეოხებით გაეცნო თანამედროვე სასოფლო მეურნეობის მიხწევებს.



მიწის დამუშავება ძველი და ახალი საშუალებით.

საქართველოში ამჟამად ორასამდე ტრაქტორი მუშაობს სხვადასხვა სოფლებში და სცვლის გუთანსა და სახნისს. ფეხს იკიდებს აგრეთვე ჩვენს სოფლებში

გამოფენამ გაიმარჯვა და ეს ყველაზე უფრო ამტკიცებს იმას, თუ რამდენად თანდროული და საჭირო იყო მისი მოწყობა და თუ როგორი წყურ-



მკა ძველი და ახალი საშუალებით

სხვა სამეურნეო მანქანებიც. ჩვენი ხელისუფლება ყოველნაირ ზომებს ხმარობს, რომ ასწიოს ჩვენში მეურნეობა და გამოფენამ თვალსაჩინო გახადა, რამდენად განვითარდა ჩვენში მიწათმოქმედებისა და ბალოსნობის საქმე.

ვილია მასაში შეისწავლოს და გამოიყენოს ცხოვრებაში ის მიხწევები, რაც მისი მასაზრდოვებელი დედამიწის საუკეთესოდ დამუშავებისათვის არის თანამედროვე აღამიანის განკარგულებაში.





# რა არის კოოპერაცია და რისთვის არის იგი საჭირო? ეროვნული გიგლიოთეკა

მიმდინარე წელს ზაფხულში საქართველოს მშრომელმა ხალხმა მთელი ქვეყნის მშრომელ ხალხთან ერთად იღვწასწაულა კოოპერაციის საერთო დღე.

რა მნიშვნელობა აქვს კოოპერაციას მშრომელი კლასისათვის და რა არის კოოპერაცია?

უთუოდ, ძნელად მოიპოვება ჩვენ მკითხველებში ისეთი ახალგაზრდა, რომელსაც სრულიად არაფერი არ გაეგონოს კოოპერაციის შესახებ. ჩვენ დროში ყოველი ქალაქის დიდ ქუჩაზე და თითქმის ყველა სოფელში გამართულია კოოპერატიული **დუქანი**. ბევრს არა აქვს ნათლად წარმოდგენილი, თუ რა არის კოოპერაცია და რისთვის არის იგი საჭირო.

ხილვული, ღვინო და სხ. ყველამ რომ ცალკალკე გაჰყიდოს, ძნელია მყიდველის პოვნაც, ფასსაც ვერ მიიღებს ხელსაყრელს, შეტყობაც გაუჭირდება, სად და როგორ შეიძლება უკეთ გაყიდვა. ამას გარდა, სოფლის ბევრი ნაწარმოები უფრო სარფიანია, თუ გადამუშავებული გაიყიდება, მაგალითად, ხილი, რომელიც შორ გზაზე გადაზიდვისაგან ფუჭდება. ამის გარდა მთელი ხილის მოსავალის გაყიდვა შეუძლებელია, რჩება გლეხს გაუყიდავი, შენახვაც არ შეიძლება.

რა უნდა ჰქნას?

აი, ამისათვის იკრიბებიან გლეხები, შეერთდებიან კოოპერატივში, შეერთებული ძალ-ღონით აშენებენ კონსერვის ქარხანას და ამზადებენ, რო-



კოოპერატივი არის კავშირი ხალხის, რომლებიც შეკავშირდნენ იმისთვის, რომ შეერთებული ძალ-ღონით იბრძოლონ თავისი ცხოვრების ყოველმხრივ გასაუმჯობესებლად.

საქონელს აძვირებს მევახშე და კერძო ვაჭარი, რადგანაც დიდ **გამოსარჩენს** იღებს. საქონლის გასაიაფებლად და ამასთანავე უკეთესი ღირსების საქონლის მისაწოდებლად ერთდება ხალხი და აარსებს **სამომხმარებლო კოოპერატივებს**.

ერთ ადამიანს ბევრის ვაკეთება არ შეუძლია, ბევრი კი ერთად მოახერხებს ფულის შეკრებას, შეისყიდის საჭირო და საუკეთესო ხარისხის საქონელს იქ, სადაც უფრო იაფი და ხელსაყრელია და გაჰყიდის განსაზღვრული პროცენტების დამატებით, იმ დიდი გამოსარჩენის მაგიერ, რომელიც კერძო მოვაჭრეს რჩება.

გლეხმა უნდა გაასაღოს თავისი შრომის ნაწარმოები—პური, ბამბა, აბრეშუმის პარკი, თხილი,

გორც, უთუოდ, ყველამ იცის, ხილეულობის კონსერვებს. ამნაირად დამზადებული ხილეულის შენახვა მრავალი წლის განმავლობაში შეიძლება, შეიძლება გადაზიდვა და შორეულ ბაზრებზე გაყიდვა. ამგვარი საქმეების მოსაწყობად, გლეხთა ნაწარმოების გასაღებისა და გადამზადებისათვის, არსდება კოოპერაცია, რომელსაც **სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია** ეძახიან.

ქალაქებში დიდი სივიწროვეა, საკმაო საცხოვრებელი ბინები არ არის, ბინის ქირა დიდი. უნდა აშენდეს ახალი სახლები და განა ერთ კაცს—მუშას ან მოხელეს—შეუძლია ააშენოს ახალი სახლი? როდესაც შეერთდება ბევრი ერთად, საერთო ძალ-ღონით სახლის აშენება არ გაუჭირდებათ. ახალი სახლების ასაშენებლად ხალხი ერთდება და აარსებს **საბინაო კოოპერატივს**.

ჩვენ აქ მხოლოდ კოოპერატივის სამი სახე მოვიყვანეთ, მაგრამ ამ სამიდანაც სჩანს, რა დიდი



სარგებლობის მოტანა შეუძლია კოოპერაციას მუშახალხისათვის.

მაგრამ განა კოოპერაციის სარგებლობა მხოლოდ იმაშია, რომ მატერიალურად გააუმჯობესოს მშრომელი ხალხის მდგომარეობა? არა. კოოპერაცია აჩვენებს ხალხს შეერთებულ მეურნეობას, საერთო შრომას, საერთო ძალღონით მშენებლობას.

ხალხი აარსებს ორგანიზაციას, რომელშიც სამსახური უნდა გაუწიოს მათ. ჰქმნის კოოპერატივს, ირჩევს საბჭოს და ავალებს მთელი საქმეების წარმოებას. ამავე დროს თვალყურს ადევნებს საბჭოს საქმიანობას, აძლევს მის მუშაობას გეზს და იმუშავებს მომავალი მოქმედების გეგმას. ხალხი გამოცდილებით რწმუნდება, თუ რა დიდი ძალაა ერთობა, გამოცდილებით ეჩვენება საერთო მუშაობას, გაერთიანებული ძალღონით სძლევს ისეთს დაბრკოლებებს, რომლის გადალახვა ერთი ადამიანისათვის შეუძლებელი იქნებოდა.

ამასთანავე კოოპერაცია ხალხში ავრცელებს განათლებასაც.

ხალხი თუ შეჯგუფდა და შეკავშირდა, თუ გაიგო ანაირი შეკავშირების სარგებლიანობა, ის ეცდება სხვებსაც გააგებინოს მისი მნიშვნელობა და გაავრცელოს შეერთებული ძალღონით მიხწვევების შესახებ ცნობები.

მაგრამ შეეთებული ძალღონით მოღვაწეობის სარგებლობის გაგება შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც იცის, თუ როგორ გაერკვეს გარემოცულ ცხოვრებაში. ამიტომაც კოოპერაციის მუშაკები გულმოდგინედ ავრცელებენ კოოპერატივის შესახებ ყოველგვარ ცნობებს, მისი სარგებლობის შესახებ და, საზოგადოდ, აწარმოებენ მუშაობას საზოგადოდ ხალხის განათლების საქმიანობაში.

ჩვენ დროში კოოპერატივები მილიონობით ითვლება, ბევრი ათეული მილიონი წევრი შედის კოოპერატივების შემადგენლობაში. კოოპერატივები ერთდებიან კავშირებად და ანაირად იქმნება ძლიერი ორგანიზაცია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი მხარის მეურნეობის წარმატებისათვის.

კოოპერაციას უწევს ანგარიშს ფაბრიკებიც — ასობით, ათასობით კოოპერატივს შეუძლია იყიდოს, ან არ იყიდოს ამა თუ იმ ფაბრიკიდან საქონელი. იძულებული არიან კოოპერაციას გაუწიონ ანგარიში კერძო მოვაჭრეებმაც, ვინაიდან თუ კოოპერაცია ნაკლებ ფასებში ჰყიდის ბაზარზე საქონელს, იმათაც უნდა დაუწიონ ფასები; კოოპერაციას ანგარიშს უწევს სახელმწიფო, რადგანაც არავითარ ხელისუფლებას არ შეუძლია არ მოეპყროს ყურადღებით კოოპერატივში მილიონობით შეკავშირებულ მშრომელებს, ასეთ ანგარიშს უწევს კოოპერატივს

დასავლეთ ქვეყნებში. კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს კოოპერატივს ჩვენში. ჩვენი საბჭოთა-სახელმწიფოებრივი ხელისუფლება ისწრაფვის კაპიტალისტური წესწყობილებიდან სოციალისტურზე გადავიდეს, ე. ი. ისეთ წესწყობილებაზე, სადაც ყველაფერი საყოველთაო იქნება, სადაც საერთო ძალღონით უნდა მოგვარდეს კაცობრიობის ცხოვრება. კოოპერაცია ხომ საერთო ძალღონით ახალი ცხოვრების მშენებლობას მოასწავებს.

ამიტომაც არის, რომ ჩვენში კოოპერატივებს დიდი შეღავათები და უპირატესობა ეძლევა.

ახლა კოოპერაციას დიდი როლი აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში, მაგრამ ყოველთვის ასე არ იყო და დიდი ვასაქირი გამოიარეს პირველმა კოოპერატორებმა.

მათ სდევნიდნენ კერძო მოვაჭრეები, არ აძლევდნენ საქონელს კერძო მექარხნეები, დასცინოდნენ, როგორც უნაყოფო მეოცნებეთ.

იმ დრომ დიდი ხანია განვლო და კოოპერაცია, როგორც ზევითაც ვთქვით, ახლა უკვე დიდი ძალაა.

მაგრამ ეს დიდი ძალა ცდილობს კიდევ უფრო ძლიერი გახდეს, ცდილობს მიიმხროს ხალხის მთელი მშრომელი ნაწილი. აი, ამიტომ არის დაწესებული კოოპერაციის საერთაშორისო დღესასწაული. ყველა ქვეყნების კოოპერატიულმა კავშირმა „საერთაშორისო კოოპერატიულმა ალიანსმა“ დაარსა იდღესასწაულოს კოოპერაციის დღე ივლისში, პირველ შაბათს.

წრეულს ივლისში პირველი შაბათი მ ივლისს შეხვდა. მ ივლისს მშრომელმა ხალხმა გაითვალისწინა კოოპერაციის მიხწვევები და დაისახა ახალი გზები.


საქართველოში კოოპერაციის დღე დიდად საგულისხმიეროა და ბევრნაირად უნდა დააფიქროს ის, ვისაც კოოპერაციის მოღვაწეობა აინტერესებს.

აუარებელი მშრომელი ხალხია ქალაქებში და სოფლებში სამომხმარებლო კოოპერატივებში შეკავშირებული; საკმაოდ განვითარდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, გაიზარდა და იზრდება სხვა სახის კოოპერაციები: საკრედიტო, საბინაო და სხ.

მაგრამ რაც უფრო იზრდება კოოპერაცია, მით უფრო მეტი საზრუნავი უჩნდება მას. ჩვენი კოოპერატივები ჯერ არ არის საკმაოდ გამაგრებული ფინანსების მხრით, ე. ი. ჯერ კიდევ არა აქვს საჭირო თანხები, არაა საკმაო კოოპერაციის დარგში მუშაკები, ჯერ კიდევ არა აქვს ხალხს საჭირო გამოცდილება.

მაგრამ ყველა ამ სიძნელის დაძლევა შეიძლება,





თუ ყველა მრავალი ათასი წევრი აქტიურად ჩაებმება საქმიანობაში.

სხვა სახელმწიფოებში კოოპერაციას უხდება მძიმე და მედგარი ბრძოლის წარმოება კერძო კაპიტალთან, იქ არ შეიძლება მთელი ხალხის სხვადასხვა კოოპერატივებში — სამომხმარებლო, საკრედიტო, სასოფლო-სამეურნეო და სხვაში გაერთიანება. ამნაირი გაერთიანება სიკვდილი იქნებოდა კაპიტალიზმის და ამისათვის კი საჭირო იქნებოდა ჯერ კაპიტალიზმის ბატონობის მოსპობა.

თუ ამნაირი გაერთიანება სიკვდილია კაპიტალიზმისთვის, — მაშინ ის აუცილებელი პირობა უნდა იყოს საზოგადოებისათვის, რომელიც მიისწრაფის

სოციალიზმისაკენ. როდესაც მშრომელი ხალხი ხელისუფლებას ჩაიგდებს ხელში, ამბობს ვ. ი. ლენინი, კოოპერაციის ზრდა ეთანაბრება სოციალიზმის ზრდას. ე. ი. უმთავრეს მიზანს სახელმწიფოსას, რომელიც ხელისუფლება გამოსტაცა ბურჟუაზიას, წარმოადგენს კოოპერაციის განვითარება და კოლექტიური, საერთო ძალღონით შრომის შეჩვევა სხვადასხვა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ამიტომ არის, რომ საბჭოთა სახელმწიფო მთელი ძალღონით უწყევს დახმარებას კოოპერაციის განვითარებას საბჭოთა ქვეყნებში და ყოველი მოქალაქე უნდა ცდილობდეს კოოპერატიულ საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას.

## ზ ა ვ შ თ ა უ მ ე ო ო მ ე ლ ე ბ ა

### კ ა ტ ა რ ა ს .

პატარა ბავშო, ლამაზ ბუნების  
სასიყვარულოდ გული რომ გიცემს,  
რომ შეჰხარხარ ასე უვნები  
მწვანე მთა-გორებს, გაშლილ ცის კიდეს,  
იცი, რამდენი ცრემლი უნახავს  
მზით განათებულ ლამაზ სამყაროს?..  
ტანჯვა და ოფლი შიგ ჩაუშარხავს  
ადამიანთა უღრველ წყაროს...

\* \* \*

პატარა ბავშო, მაგ აღტაცებით  
რომ შესთამაშებ ალისფერ დროშებს  
და, სიხარულის გამომხატველი,  
თვალთაგან ლამაზ სხივებს რომ უშვებ,  
იცი, რამდენი სისხლი დაღვრილა  
მისი ზეცამდე აზიდვისათვის?..  
მებრძოლთა მკერდი ბეჭი დახრილა,  
მაგრამ რწმენას კი მაინც იცავდენ...

\* \* \*

პატარა ბავშო, შენია, შენი:  
უცხო ბუნება, ვრცელი ქვეყანა,  
და სადაც ნახო ცრემლების მდენი,  
იქ შევების დროშა წაიღე თანა

და სიტყვი: „გეყოფათ ტანჯვა-წუხილი,  
სასიხარულოდ გაშალეთ სახე“.

და თუ ჩაგრულებს თვალი აუხილვ,  
ახალ ცხოვრების მზეს დაანახვებ...

### ზ ა ფ ხ უ ლ ი ა ! . . .


ზაფხულია. ცა კაშკაშებს;  
ნაბიჯს ითვლის პიონერი.  
ხელში დროშას ათამაშებს,  
მოდის წინ და მკვირცხლად მღერის.

ისმის ნელი რუს რაკრაკი,  
და ჩხრიალებს ცელქი წყარო!  
ბუჩქებს უვლის ნელი სიო;  
მინდორ ველი მღერის, ხარობს!

ზაფხულია; დღე ზაფხულის!  
ზამთრის ღამე გაჰქრა ცივი,  
მოკაზმული ზაფხული კი  
ეფინება ქალებს სხივით!

ნიკოლოზ ცხაკაია.






# მეცნიერება და ტექნიკა

## საჰაერო გზა ოკეანეზე.

ამ ორასი წლის წინეთ თუ ვინმე შოინდომებ-  
და ევროპიდან ამერიკაში გამგზავრებას ოკეანე-  
თი, ანდერძს სტოვებდა, რადგანაც არ იყო და-  
რწმუნებული, მიახწევდა თუ არა ცოცხალი მეორე  
ნაპირს, გადაურჩებოდა თუ არა გემი ოკეანეს მრი-  
სხანე ტალღებს გრძელი მგზავრობის დროს.

ამჟამად ოკეანეზე მგზავრობას თანამედროვე  
გემი, რომლისათვისაც არავითარი ქარბუქი და დელ-  
ვა საშიშროებას არ წარმოადგენს, რამოდენიმე  
დღეს უნდება.



ცეპელინი.

მაგრამ ადამიანს ეს არ აკმაყოფილებს, მას უნ-  
და კიდევ უფრო მეტი სისწრაფით მოგზაურობა,  
უნდა უფრო სწრაფად გადალახოს სივრცე.

მას შემდეგ, რაც ხალხმა ფრენა ისწავლა, მის-  
თვის სანატრელი გახდა ოკეანეზე გადაფრენა. რო-

დესაც გადალახა ადამიანმა ოკეანე და გადაფრინდა,  
მოინდომა მოეწყო მუდმივი მისვლა-მოსვლა საჰაერო  
გზით ოკეანეს ერთი ნაპირიდან მეორეზე.

ამჟამად ამერიკასა და ევროპას შუა საჰაერო  
მიმოსვლის საკითხი თითქმის მოწესრიგებულად უნ-  
და ჩაითვალოს. ამერიკასა და ინგლისში მუშავდება  
საჰაერო გზის მოწყობის საქმე ლონდონსა და ნიუ-  
იორკს შუა და პარიზსა და ნიუიორკს შუა.

მთავარი გამოსარკვევი და გადასაწყვეტი ამ სა-  
კითხში არის, აეროპლანს მისცენ უპირატესობა, თუ  
ღირიჯაბლს ატლანტის ოკეანეზე საჰაერო მგზავრო-  
ბისათვის.

ღირიჯაბლს ის უპირატესობა აქვს აეროპლან-  
თან შედარებით, რომ შეუძლია უფრო დიდხანს გა-  
სძლოს ჰაერში.

ღირიჯაბლმა „Z R 3“, რომელიც გერმანიამ  
ამერიკას ჩააბარა, როგორც სამხედრო კონტრიბუ-  
ცია, გადაფრინა ფრიდრიხგაფენიდან (ქალაქია გერ-  
მანიაში) შეერთებულ შტატებში 81 საათის და 17  
წამის განმავლობაში შეუსვენებლივ—8 651 კი-  
ლომეტრი გზა.

ინგლისის ღირიჯაბლმა „R 34“. ატლანტის  
ოკეანეზე გადაფრენის დროს დაჰყო ჰაერში 108 საა-  
თი და 12 წამი. საფრანგეთის საჰაერო გემი „დიკ-  
სმიუდე“ საფრანგეთიდან აფრიკაში გადაფრენის და  
გადმოფრენის დროს, თითქმის ხუთი დღე-და-ღამე  
შეუჩერებლივ მოგზაურობდა. ამას გარდა, თუ ღი-  
რიჯაბლი დაზიანდა, შესაძლებელია ჰაერშივე შეკეთ-  
დეს და ამით უფრო უზრუნველყოფილია თავი და-  
ახწიოს დაღუპვას. ღირიჯაბლის დიდ უპირატესობას  
წარმოადგენს ისიც, რომ მას შეუძლია დიდი ტვირ-  
თის აზიდვა: თანამედროვე საჰაერო გემს შეუძლია  
აზიდოს ორიათას ხუთას ფუთამდე ტვირთი.

მაგრამ ღირიჯაბლებს აეროპლანებთან შედარე-  
ბით ორი დიდი ნაკლი აქვს: ერთი რომ ძალიან  
ძვირი ჯდება და მეორე—ბევრად უფრო ნელა მო-  
გზაურობს. ღირიჯაბლის აშენება ჯდება რამდენიმე



მილიონი მან. ღირებულების საშუალო სისწრაფე უდრის 80 კილომეტრს საათში და ეს სისწრაფე კი არ აკმაყოფილებს თანამედროვე მგზავრს. ამიტომ არის, რომ ახლა მუშაობენ იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ აეროპლანით მოგზაურობა ოკეანეზე.

ოკეანეზე აეროპლანით გადაფრენის ცდები ბევრი იყო, მაგრამ მხოლოდ ერთი მგზავრობა და მთავრდა გამარჯვებით. ცნობილი ინგლისელი მფრინავი ალკოკი გადაფრინდა ნიუფაუნდლენდიდან ირლანდიაში 15 საათის განმავლობაში შეუსვენებლივ და გაიარა 3150 კილომეტრი ყველაზე უფრო ვიწრო ადგილას ატლანტის ოკეანეზე. მაგრამ ის, რაც შესძლო აკლოკმა, სხვებისათვის შეუძლებელი გახდა.


აეროპლანით მგზავრობის გასაადვილებლად ოკეანეზე, რომ ის ყველასთვის ზედმისაწვდომი გახდეს, საჭიროა მოეწყოს აეროპლანებისათვის სადგურები, სადაც იქნება მომარაგებელი სათბობი მასალა, შესაძლებელი იქნება ფრენის დროს დაზიანებული ნაწილების შეკეთება და სხ.

დგური, სახელოსნოები, მეტეოროლოგიური სადგურები (ისეთი დაწესებულება, სადაც თანამედროვე ადვენგებენ ამინდს, ატმოსფერის წნევას, ქარის მოძრაობას და სხ.), სათბობისა და გასაზეთავი მასალის საწყობები აეროპლანებისათვის, სასტუმროები, სასადილოები და სხ. დაწესებულებანი.

გზის მთელ სივრცეს, რვაჯერ შეჩერებით, აეროპლანები გადაიფრენენ 34 საათის განმავლობაში.

არის მეორე პროექტიც. თუ ერთმა მფრინავმა მოახერხა შეუსვენებლივ გადაფრენა აეროპლანით ოკეანეზე, მოახერხებს სხვაც, მხოლოდ უნდა გამოინახოს საშუალება აეროპლანის გაუმჯობესებისა, რომელიც ისეთივე გამძლე უნდა იქნეს, როგორც ღირებულო. ამნაირი გამძლეობის აეროპლანის პროექტი შეიმუშავა ფრანგმა ინჟინერმა **ლუი ბრეგემ**.

მის აეროპლანს შეუძლია აზიდოს 80 მგზავრი, 14 კაცი აეროპლანზე მოსამსახურე; ბენზინის ბაკი, რადიო, კაპიტანის კაიუტა, კაიუტები მგზავ-



აეროპლანი.

ადგილი სათქმელია სადგურების მოწყობა შუა ოკეანეზე, სადაც ზღვის ზვირთებსა და ღრუბლებს გარდა არაფერი მოიპოვება, მაგრამ ამისთანა ამოცანის წინაშეც კი არ იხრის ქედს თანამედროვე მეცნიერული აზროვნება.

ამჟამად მუშაობენ სხვადასხვა პროექტები, რომ მოაწყონ ოკეანის ზედაპირზე ხელოვნური, მკურავი კუნძულები. ეს კუნძულები დამაგრებული იქნება ლუზებზე.

ინჟინერ არმისტრონგის პროექტით ამერიკასა და ევროპას შუა რვა ამისთანა კუნძული უნდა გაკეთდეს. ყოველ კუნძულზე იქნება ანგარი (აეროპლანების გასაჩერებელი ბინა), შუქურა, რადიოსა-

რებისათვის. დატვირთული აეროპლანის წონა უდრის 55000 კილოგრამს. ფრენის საშუალო სისწრაფე საათში 280 კილომეტრია. პარიზიდან ნიუიორკში აეროპლანი გადიფრენს 24 საათში.

ოკეანეზე სავაერო მიმოსვლის მოწყობის ყველა პროექტების შესახებ ახლა ამერიკისა და ევროპის მეცნიერებს და ინჟინერებს მსჯელობა აქვთ და შედარებებს და ცდებს ახდენენ და არკვევენ, რომელი იქნება უფრო ხელსაყრელი და მოხერხებული.

ასეა თუ ისე — ღირებულებით თუ ბრევს ან სხვა სისტემის აეროპლანებით, შეუჩერებლად თუ ხელოვნურ მკურავ კუნძულებზე შეჩერებით, — ჩქა-






რა აღიმიანი კიდევ ერთ თავის გამარჯვებას შეიტანს თავის ისტორიაში: ეს იქნება საპაერო გზის მოწყობა ოკეანეს უსაზღვრო სივრცეზე.

საოცარი გვირაბი ქალაქში.

ქალაქი ნიუიორკის ნაწილი კუნძულ ნამპოტაზე მდებარეობს. ამ ნაწილს ჰყოფს მთავარი ქალაქისაგან მდინარე ჰუდსონი. მიმოსვლა ქალაქის ორ ნაწილს შუა ხდებოდა მდინარე ჰუდსონზე ძრავიანი ბორნების საშუალებით და სანამ ავტომობილებით



გვირაბი

მიმოსვლა არ გაძლიერდა, კიდევ ასლიოდა გადაყვან-გადმოყვანის საქმეს. შეერთებულ შტატებში ხომ ყოველ 6 კაცზე ერთი ავტომობილი მოდის და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რანაირი მოძრაობა არის ნიუიორკში, შეერთებული შტატების უმთავრეს ცენტრში.

ამჟამად მახოტანსა და ქალაქის სხვა ნაწილებს შორის ბორანს დღეში 30000-მდე ავტომობილის გადაყვან-გადმოყვანა უხდება და რადგანაც ვერ ასწრებს, ბორანთან აუარებელი ავტომობილი იყრის თავს და ელის თავის რიგს, ხანდახან ორ საათსაც. ამ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ახლა აკეთებენ უზარმაზარ გვირაბს მდინარე ჰუდსონის ქვეშ.

ამ გვირაბის სიგრძე უდრის 4933 მეტრს. გვირაბი შესდგება ორი მილისაგან, რომლებიც განივით 16-16 მეტრია. შიგნით მილებში გაყვანილია გზა, სიგანით 10<sup>2</sup>/<sub>3</sub> მეტრი, ისე რომ 2 ავტომობილს შეუძლია ერთად გავლა. მთელ გვირაბში დატანებულია გვერდის ადგილები, იმ შემთხვევისათვის, რომ, თუ ავტომობილი დაზიანდა, გადაიყვანონ და დანარჩენების მოძრაობა არ შეაჩერონ. თვითველ მილში მოძრაობა მხოლოდ ერთი მიმართულებით წარმოებს.

ოსტატურად არის მოწყობილი გვირაბის შესასრულებელი ნაწილები. სინათლე განსაკუთრებით ანათებს მილის თავში და ბოლოში, რომ ქუჩიდან გვირაბში შესული შოფერი თანდათან შეეჩვიოს გვირაბის განათებას.

გვირაბში მოწყობილია ხელოვნური ვენტილიაცია, რომლის მეოხებითაც გვირაბში შემოდის ერთი წამის განმავლობაში 4.000.000 ოცხკუთხი ფუტი წმინდა ჰაერი.

მარადიულ სიბნელეში

150 მეტრის შემდეგ ზღვის სიღრმეში მზის სინათლის ვერც ერთი სხივიც კი ვერ ახწევს და მუდამ სიბნელე სუფევს.

მაგრამ იქ, სადაც ვერ სწვდება სინათლის სხივი, ჩავიდა აღიმიანი და გაანათა ილუმინაციით მოცული ზღვის სიღრმე.

ამ უკანასკნელ დრომდის მყვინთავეებს მყვინთავეების ჯავშანით შეეძლოთ მხოლოდ 30-40 მეტრის სიღრმეზე ჩაშვებულიყვენ ზღვაში. ამ 30 მეტრის სიღრმეზე ჩასვლას მყვინთავი მთელ საათს უნდებოდა, რადგანაც რაც უფრო ღრმად ჩადიოდა, ის უნდა შესწევოდა უფროდაუფრო გაძლიერებულ წყლის წწევას.



მყვინთავი

ამ უკანასკნელ დროს გერმანელებმა გამოიგონეს მყვინთავეების ახალი ჯავშანი, რომლის მეოხებით შეიძლება 200 მეტრის სიღრმეზე ჩასვლა 4 წამში.



ახალი ჯავშანი კეთდება მაგარი ფოლადისაგან. სახელოები და ფეხზე ჩასაცმელები კეთდება განსაკუთრებული თუთიასაგან.

ამ მოწყობილობის მეოხებით მყვინთავი სრულიად არ გრძნობს წყლის უშველებელი ფენის წნევას. მოწყობილობაში დატანებულია 4 ქურქელი შემქიდროებული ჰაერით და მყვინთავი სუნთქავს ისე თავისუფლად, როგორც დედამიწაზე. იმ შემთხვევაში, თუ ჰაერის ქურქულები დაზიანდა, მყვინთავს თან აქვს 4 ქიმიური ვაზნა. თითო ვაზნა შეიძლება გატეხოს და ის 2 საათის განმავლობაში უზრუნველყოფს მყვინთავს ჰაერით.

ზღვის ფსკერზე მყვინთავი ეშვება აქედან, რომელიც თავის ჯავშანს გაკეთებული აქვს ორმა შემქიდროებული რომლებიც ჩაშვების დროს ივსება წყლით. ამოსვლის დროს კი წყალს სცვლის შემქიდროებული ჰაერით.

რადგანაც ზღვის სიღრმეში, სადაც ეშვება მყვინთავი, მუდმივი სიბნელეა, მყვინთავს თან მიჰყვება ელექტროს პროექტორი.

საკვირველია, რისთვის გამოიგონეს მყვინთავის ახალი ჯავშანი?

მსოფლიო ომის დროს ჩაძირული იყო ზღვებში აღარბელები წყალქვეშა ნავი. იმათ ამოსაღებად საჭირო იყო, რომ მყვინთავები უფრო ღრმად ჩასულიყვნენ ზღვაში, ვიდრე აქამდის ჩაღიოდნენ.

## თ ა მ ა შ ო ზ ა ნ ი

### ღარაჯნი და უახალები.

**მოთამაშეთა ხნოვანება და რაოდენობა:** 6-30 კაცამდე, წლოვანებით კი 11-13 წლამდე.

თამაში საინტერესოა უფრო მოზრდილ ბავშვთათვისაც.

**აღილი თამაშისთვის.** პატარა სწორი მოედანი ან ოთახი. მოედნის ან ოთახის მოპირდაპირე მხარეები წარმოადგენს ქალაქებს; ერთი ეკუთვნის დარაჯებს, მეორე კი უახლებს.

ამ ქალაქთა შორის, შუაში, უნდა მოიხაზოს წრე, განავით ერთი არშინი, რომლის შუაშიც ძვეს განძი. ამ განძს წარმოადგენს ბურთი.

ქალაქთა შორის მანძილი უნდა იყოს 40-დან 100 არშინამდე. ეს დამოკიდებულია მოთამაშეთა წლოვანებაზე.

### თამაშისთვის საჭირო იარაღები.

რეზინის ბურთი ან ფეხბურთი. თუ მოთამაშეთ ეს არ მოეპოვებათ, შეიძლება სხვა რაიმე საგანი (ქუდი, ცხვირსახოცი და სხვა).

### მოთამაშეთა განაწილება.

მოთამაშენი იყოფიან ორ ნაწილად — დარაჯებად და უახლებად.

თითოეული ჯგუფი დგება თავთავიანთ ქალაქის ხაზზე ერთ მწკრივად და პირისახე მიმართული აქვთ განძისკენ.

**თამაშობის აღწერა.** ხელმძღვანელის მიერ ნიშნის მიცემის შემდეგ ყაჩაღთა ჯგუფს მარჯვენა მხრიდან ერთი-ერთი მოთამაშე უნდა გაიქცეს განძისკენ (ბურთისკენ) და უნდა შეეცადოს მის ხელში ჩაგდებას.

ამავე ნიშნის შემდეგ და იმავე დროს დარაჯთა ჯგუფის მარჯვენა მხრიდანაც უნდა გამოიქცეს

მოთამაშე, რომელმაც ხელი უნდა შეუშალოს ყაჩაღს, რომ მან ბურთი ხელში არ ჩაიგდოს.

ორივე მოთამაშე ერთმანეთს ხვდებიან განძთან. მაშინ ყაჩაღი აწარმოებს სხვადასხვა მოძრაობებს, — შორდება ბურთს, ჩაჯდება ბურთის ახლოს, გარს უვლის მას და სხვა ასეთებს. ყველა ეს მოძრაობანი მაშინვე უნდა გააკეთოს დარაჯმაც.

როდესაც ყაჩაღი იხელთებს დროს, სტაცებს ბურთს ხელს და მირბის თავისი ქალაქისაკენ. დარაჯი უნდა დაედევნოს მას და შეეცადოს ჩასკრას.

თუ ბურთი ყაჩაღის მიერ მიტანილი იქნება მის ქალაქში, მაშინ დარაჯი მათთან ტყვედ გადადის, მაგრამ თუ დარაჯი ჩასკრის ყაჩაღს, მაშინ მას გადაჰყავს იგი ტყვედ.

თამაში თავდება მაშინ, როდესაც ყოველი მოთამაშე მიიღებს მასში მონაწილეობას.

გამარჯვებულად ჩითვლება ის ჯგუფი, რომელსაც მეტი ტყვე ეყოლება.

### თამაშის წესები.

1. ყაჩაღი და დარაჯი ხელმძღვანელის ნიშანზე ერთსადიმავე დროს უნდა გაიქცენ განძისკენ.
2. დარაჯი მოვალეა სისწორით გაიმეოროს ყაჩაღის ყოველი მოძრაობა.
3. დარაჯს შეუძლია ჩასაქრელად გამოუდგეს მხოლოდ ველზე და არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია შეჰყვეს ქალაქში.
4. ყაჩაღს არ შეუძლია იმ წრეში შესვლა, რომელშიაც ძვეს განძი. მოთამაშე, რომელიც ამ წესს დაარღვევს, დაქერილად ჩითვლება.
5. ყაჩაღი თუ ბურთს ხელს შეიხებს, მოვალეა კიდევ გაიტაცოს იგი.



**შენიშვნა:** თამაში შეიძლება ისეთი წესის შეტანა, რომლის ძალითაც დარაჯი, რომელიც ჩასჭრის ყაჩაღს ბურთის შეხებამდე, დაჭერილად ჩაითვლება. ამ წესის შეტანის დროს ყაჩაღი აწარმოებს ისეთ მოძრაობებს, რომელიც გამოჰხატავს ბურთის მოტაცების სურვილს, რის გამოც დარაჯს შეუძლია ხშირად შეცდომით ჩასჭრას ხოლმე.

**წესები:**

1. ჩაქრა შეუძლია მხოლოდ რაზმის ორგანიზატორს.
2. დანარჩენი პიონერები უნდა დაეხმარონ მხოლოდ, რომ რაც შეიძლება ჩაქრა მიაწოდონ მას ფეხბურთი.
3. სათამაშო მოედანს წრე უნდა შემოეველოს და მოთამაშე ამ წრეს არ უნდა გადასცდეს.
4. ჩაქრილ მოთამაშეს შეუძლია მაშინვე მორტყმული ფეხბურთი გაარტყას ორგანიზატორს, რის შემდეგაც იგი ჩაქრილად აღარ ჩაითვლება.
5. ფეხბურთის ფეხით შეხება არ შეიძლება.
6. ორგანიზატორი რამოდენიმე ხნის შემდეგ უნდა გამოიცვალოს ხოლმე.

**ამანატრბანი.**

ამ თამაშის ჩატარება შეიძლება დიდ ღღესა-სწაულღებზე. იგი ძლიერ ცოცხალია, მხიარული და მონაწილეობის მიღება შეუძლია ბავშვა დიდ რიცხვს. მონაწილეობს რამოდენიმე ჯგუფი. თითოეულ ჯგუფში შედის 15-დან 20 ბავშამდე. ჯგუფმა უნდა რიგზე გაითვალოს, გაიყონ ორ თანასწორ ნაწილად და შემდეგ დაიკავონ მოედნის ორი მხარე.

კენტი ნომრები დგებიან ერთ მხარეზე და ლუწი ნომრები მეორე მხარეზე.

აქ დგომა მათ შეუძლიათ ორნაირი წესით: — ერთმანეთის ზურგში — რიგად და ერთმანეთის გვერდში — მჭკრივად.

მოედნის ორ მხარეს შორის მანძილი არ უნდა აღემატებოდეს 40 მეტრს.

ხელომძღვანელის განკარგულებაზე ყველა პირველი ნომრები, რომელთაც ხელში უკავიათ ამანათები (იხილეთ „ესტაფეტას“ ამანატრბენის ახსნა 1925 წ., ე. „წითელი სხივი“-ს № 6 მოთავსებული), რაც შეიძლება სწრაფად მიზიან მოპირდაპირე მხრისაკენ და ამანათს გადასცემენ მეორე ნომრებს, რომელნიც მჭკრივში გამოშვებული ხელით ღვანან.

მეორე ნომერი მორბის წინ, რომ ამანათი გადასცეს მესამე ნომერს. მესამე აწოდებს მეოთხეს და ასე შემდეგ.

უკანასკნელი მიზიან ხელომძღვანელთან მიმართული ვინც პირველი მიუბრუნებს, ის ხელმძღვანელს გადასცემს.

**შენიშვნა:** თამაშის ჩატარება შეეძლება ცოცხალი ნერთა რაზმებს შორისაც, რომელთაგანაც შეიძლება იყოს ფიან საუკეთესო მორბენალი პიონერები.

ამ შემთხვევებში საჭიროა მორბენალთა გავარჯიშება, რომ ისინი ამანათის გადასაცემად რაც შეიძლება სწრაფად გარბოდნენ.

**ნივთის დამალვა.**

მონაწილეობენ რგოლიდან მთელ რაზმამდე. ერთი მოთამაშეთაგანი გაღის მეორე ოთახში; ამ დროს დანარჩენი ოთახში მალავენ რაიმე ნივთს. ამის შემდეგ უძახიან გარეთ გასულს, რომელიც შემოდის და ჩერდება კარებთან.

მას უყვირიან: „ცოცა“-ს, თუ იგი შორს იმყოფება დამალული ნივთისაგან, რომელიც მან უნდა მოსძებნოს.

იგი იწყებს ბრუნვას ყოველი მხრისკენ და მიდის ყოველ ნივთთან.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენად უახლოვდება დამალულ ნივთს, მას უყვირიან: „უფრო თბილა“, „თბილა“, „ძლიერ თბილა“ და ბოლოს „ცხელა“, თუ ის უკვე დამალულ ნივთთან სდგას.

მაშინ ის ჩერდება და იწყებს ძებნას იმ ნივთისას, ვიდრე არ იპოვნის.

ამასთანავე ერთად ბავშვა ხმები და ქცევა აშკარავნებს იმ ნივთის ადგილმდებარეობას, და მაძიებელსაც უადვილდება პოვნა.

თამაში თავდება ნივთის პოვნის შემდეგ.

**თამაშის ადგილი:** კოლექტივის კლუბი.

**თამაშის იარაღები:** რაიმე ნივთი.

**თამაშის ელემენტები:** სმენა და ყურადღება.

**იმოქმედე მუსიკის დროს.**

მოთამაშეთა რიცხვი იმდენივეა, რამდენიც წინა თამაშში.

მოთამაშენი პირობას ჰკრავენ, რომ მაძიებელმა არამცთუ უნდა იპოვნოს ნივთი, არამედ უნდა მოახდინოს განსაკუთრებული მოძრაობანიც.


მაგალითად, შეთანხმდებიან, რომ უნდა იპოვოს თოკი, აილოს იგი, მოახვიოს ამა და ამ პიონერს და მხედარივით მაგიდას გარს შემოუაროს.

დასაწყისში, მუსიკა ან მღერა მაჩვენებელია ნივთის სიახლოვის ან სიშორის, შემდეგ კი მისივე საშუალებით უნდა მიახვედრონ ის, თუ რა უნდა მოიმოქმედოს ნაპოვნი ნივთით.

რაც მეტი ორგანიზაციულობა იქნება და თანაც საინტერესო რამ ჩაფიქრებული, თამაში მით უფრო მხიარულად ჩატარდება.

**თამაშობის ადგილი:** კლუბი.

**თამაშის ხელსაწყო:** ის ნივთი, რომლითაც იმოქმედოს მაძიებელმა.





## გასართობი

1.

— რომ —  
— აფ —  
— უკ —  
— აზმ —  
— გოლ —

ჩაუსვი ამ სიტყვებს ასოები  
თავსა და ბოლოს, რომ მიიღო  
შენი მეგობრები.

2.

სე	პი	ეს	რი
დღ	ას	წა	5
ულ	ემ	ონ	ია
ერ	ბე	თა	ქტ

უნდა გადასხა მოცემული წყვილი ასოები ისე,  
რომ წაიკითხო 4 სიტყვა.

## შ ა რ ა ლ ა

1. შელამდება თუ არა და,  
დასტრიალებს არემარეს,  
თავდიდაა, კლანჭმაგარი,  
ერიდება მზეს და მთვარეს.

—  
ეს პირველი ნაწილია,  
მეორე კი „პო“-ს ნიშანი;  
შეაერთე ორივე ერთად,  
სკნობთ ბიჭები რაზმისანი.

დ. კარბელი

2. კიდურთ წვერებზე ციფირი,  
რომელი განმეორდება,  
განზე გადმოდე, გვჭირია,  
შარადა გამოგორდება.  
რომაულ ციფრებს ხომა სკნობ,  
ჯვარს რომ წინ უზის ერთია,  
პირველთან დადე, დაფიქრდი,  
რა მიიღევი ერთიან?

დ. კარბელი





# გაგოვა 1926 წ. გაგოვა

## უძველესი საშინაო სასუბუხური ქუჩნალები

მოზრდილთათვის **წითელი სხივი** წელიწადი 3

მცირეწლოვანთათვის **ნაკადული** წელიწ. 3-XXII

ქუჩნალი ს. ს. ს. რ. შველა სკოლებისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეულ სელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებათა გამოიწერონ:

### „წითელი სხივი“ და „ნაკადული“

ხელის მოწერა მიიღება წლიურად:

- „წითელი სხივი“ ბავშვანით — 5 მან.
- „ნაკადული“ „ 3 მან. 50 კაპ.
- „ 3 მან. „წითელი სხივი“ — 45 კაპ.
- „ 3 მან. „ნაკადული“ — 35 „

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „წითელი სხივი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი — სარადეაქიო კოლაგია.